ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
9 ნოემბერი **პარასკევი** 2012 №266 (13 872) ფასი 80 თეთრი

სპორტის სამინისტროს რჩევა: ახალი პრეზიდენტის არჩევა

სიჭინავას პასუხი: არ ვარ უკანონო NO

2

ლევან ყიფიანი

ზვიად სიჭინავა

ქეცბაიამ იაშვილს, კობიაშვილმა ქეცბაიას დაურეკა რატომ?

მე-2 გვერდზე წაიკითხავთ

შენგელიამ NBA გადაშალა

14-იანმა ფაჩულიამ -14 შემოატრიალა და ინდიანა ამოატრიალა


11

თორნიკე შენგელიას (№20) დებიუტი მაიამისთან შედგა

კანტუმ ფენერ-ბაღჩაში ისროლა და რა ისროლა!

მარკოიშვილისა და შერმადინის ევროგამარჯვებები

მანუჩარ მარკოიშვილი (ბურთით) ფენერბაჰჩესთან მატჩში

მოულოდნელი შედეგით დასრულდა ევროლიგაზე იტალიაში „კანტუსა“ და თურქული „ფენერბაჰჩეს“ დაპირისპირება. მასპინძლებმა მეტოქე 82:58 დაჩაგრეს. არადა, მატჩამდე ფავორიტად „ფენერბაჰჩე“ ითვლებოდა.

მანუჩარ მარკოიშვილმა გამარჯვებაში 6-ქულიანი წვლილი შეიტანა, რასაც თითო მოხსნა-ჩაჭრა მიამატა. მან 20 წუთი ითამაშა. მოედანზე მეოთხე პერიოდში აღარ გამოჩენილა. ალბათ იმიტომ, რომ მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო.

გიორგი შერმადინის „მაქაბიმ“ - გერმანიაში „ალბა“ 78:76 დაჯაბნა. ქართველმა ცენტრმა მეოთხე პერიოდის საკვანძო მომენტში 5 ქულა ჩააგდო, სულ 13 წუთში 7 ქულა და 2 მოხსნა მიითვალა.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

ლეგიონერი

ლევან კობიაშვილი: ქეცბაიას დავურეკე და გამარჯვება მივულოცე

35 წლის ლევან კობიაშვილი ჯერაც დისკვალიფიცირებულია და გაისად, თებერვლიდან შეეძლება ბერლინის "ჰერტაში" თამაში მეორე ბუნდესლიგაში. მანამდე ის მხოლოდ ვარჯიშობს, ჯერ არც ამხანაგურ მატჩებში არ აქვს თამაშის უფლება.

კობიაშვილს ტელეფონით შევეხმიანეთ გერმანიაში და ჯერ იმაზე ჩამოვუგდეთ სიტყვა, აპირებს თუ არა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატად საკუთარი თავის წამოყენებას...

- ამ საკითხზე კონკრეტული რამ რომ გითხრათ, ჯერ ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე არჩევნები უნდა დაინიშნოს, მაგრამ ფედერაციის მოქმედი პრეზიდენტი გადადგომას არ აპირებს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები ორი წლის შემდეგ გაიმართება. ასე რომ, ამ მომენტში საკითხი ასე დგას – მინდა თუ არა ფედერაციის პრეზიდენტობა. ზოგადად კი მაქვს სურვილი, რომ ფეხბურთელობის მერე საქართველოში დავბრუნდე და ქართულ ფეხბურთში ვისაქმიანო.

- "ჰერტა" ბუნდესლიგაში დაბრუნებისთვის იბრძვის და თუ ეს მოახერხეთ, ალბათ ფეხბურთელის კარიერის გაგრძელებაზე უარს არ იტყვი...

- პირველი წრე ერთ თვეში დასრულდება, იანვარში უკვე მოსამზადებელი ეტაპი დაიწყება...თებერვლამდე დიდი დრო აღარ დარჩა. "ჰერტასთან" კონტრაქტი კიდევ ერთი სეზონით მაკავშირებს და რომ ვერ მოვახერხოთ ბუნდესლიგაში დაბრუნება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევას არ ვაპირებ.

- საქართველოს ნაკრების ბოლო თამაშებს ალბათ უყურე...

- გული დამწყდა, რომ ამ შესარჩევში პირველი ორი თამაშის შემდეგ ასე გამოვედით, მეტს ველოდი. სამწუხაროდ შეცდომების გამო უკეთესი შედეგი ვერ ვაჩვენეთ, ფინეთთან ორი ქულა დავკარგეთ...

- თემურ ქეცბაიასთან სატელეფონო კავშირი გაქვს? შევიტყვეთ, რომ მის ზარს არ უპასუხე...

-- მან ჯერ იაშვილს დაურეკა, მეორე დღეს კი მე, მაგრამ ვარჯიშზე ვიყავი და ზარს ამიტომ ვერ ვუპასუხე, ამის შემდეგ მას აღარ დაურეკავს და არც მე შევხმიანებივარ. გარკვეული დროის შემდეგ კი, როცა საქართველოს ნაკრებმა ბელარუსს მოუგო, დავურეკე ქეცბაიას და გამარჯვება მივულოცე, როგორც მთელ გუნდს. ქეცბაიას და ნაკრებს წარმატება ვუსურვე.

- ქეცბაიამ ოვითონაც კარგად იცის, რომ არ ვიმსახურებდი ნაკრებიდან ასე წასვლას, როგორც ვიცი, მანაც აღიარა ეს...

დავით თავართქილაძე

ლევან კობიაშვილი (მარჯვნივ) და თემურ ქეცბაია

ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა

ლევან ყიფიანი

ზვიად სიჭინავა

მე კანონიერი პრეზიდენტი ვარ

საკმარისია ლუპა გადატრიალებისთვის?

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა გაიმართა. მთავარი საკითხი ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი, პირველი ლიგების და დუბლების პირველობის, ასევე დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშების დებულებაში ერთი პუნქტის ჩამატება იყო. ამ ცვლილების შედეგად მასპინძელი კლუბი ვალდებულია, უზრუნველყოს მსაჯთა ბრიგადის, დელეგატის, მსაჯთა დამკვირვებლის და სტუმართა გუნდის უსაფრთხო გაცილება ქალაქიდან.

აღმასკომის სხდომის დასრულების შემდეგ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **დომენტი სიჭინავა** ჟურნალისტების წინაშე წარდგა და კითხვებს უპასუხა.

- ამ აღმასკომზე ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება დებულებაში მასპინძელი კლუბის ახალი მოვალეობების დაფიქსირება იყო. ამ ბოლო დროს ეროვნულ ჩემპიონატში მოხდა რამდენიმე უსიამოვნო ინციდენტი და ამიტომაც საჭიროდ მივიჩნიეთ დებულებაში ასეთი პუნქტის შეტანა. დაცული უნდა იყვნენ სტუმართა კლუბის ფან-კლუბიც და ყველა გულშემატკივარი.

- დეკემბერ-იანვარში, როცა სეზონში შესვენებაა, სხვადასხვა რეგიონში გაიმართება ხუთი ახალი თასის გათამაშება: სლავა მეტრეველის, ზაურ კალოევის, სერგო კოტრიკაძის, ვიტალი დარასელიას და რამაზ შენგელიას სახელობის. ტურნირები სხვადასხვა ასაკში ჩატარდება.

- ფეხბურთის ფედერაციას საპატიო პრეზიდენტი ეყოლება, კანდიდატურების შერჩევა უკვე დაწყებულია. საპატიო პრეზიდენტს ფეხბურთის ფედერაციაში ხელფასი არ ექნება. რა თქმა უნდა, ის ქართულ ფეხბურთში დამსახურებული ადამიანი იქნება, რომელიც ჩვენი ფედერაციის სახელით ფიფა-უეფაშიც იქნება მივლინებული.

■ ■ ■

აღმასკომის სხდომის მიმოხილვის შემდეგ კი სიჭინავამ იმაზეც ისაუბრა, რომ გუშინწინ ფედერაციის გენმდივანთან ერთად საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრს **ლევან ყიფიანს** შეხვდა.

- ახალმა მინისტრმა მითხრა, ჩაიხედე შენს სინდისში, ფედერაციის პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნებია დასანიშნიო. ჩავიხედე ჩემს სინდისში და იქ ვერაფერი ვიპოვე ისეთი... მე კანონიერად ვარ არჩეული ფედერაციის პრეზიდენტად. 2011 წლის არჩევნებში საკუთარი კანდიდატურის წამოყენებას არ ვაპირებდი, მხოლოდ რეგისტრაციის დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე გავაკეთე ეს. ამიტომაც, არა მგონია, რომ ეს პოლიტიკური არჩევნები იყო.

სიჭინავას ისიც ვკითხეთ, თუ სახელმწიფო აღარ გამოუყოფს მილიონობით დოტაციას ფეხბურთის ფედერაციას, მოახერხებს თუ არა კვლავ მაღალ დონეზე შეინახოს ფედერაციის ოფისი, ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებები.

- ვალი მხოლოდ 350 000 დაგვრჩა, რაც ავტომატურად დაიფარება ფედერაციის კონტრაქტით "ინფრონტთან". ჩვენ ყველანაირად მზად ვართ, რომ გავაგრძელოთ არჩეული მიმართულებით მუშაობა. კულუარული ინფორმაციით, ფედერაციის საქმიანობას ლუპით სწავლობენ, რათა რომელიმე ბერკეტი აამუშაონ.

ფედერაციის პრეზიდენტმა ისიც აღნიშნა, რა რეგრესზეა ლაპარაკი, როცა ორი ჩვენი ნაკრები ელიტრაუნდში გავიდა, ერთმა კი წელს ფინალურ ეტაპზე ითამაშაო.

ერთი სიტყვით, ფედერაციის ახლანდელი პრეზიდენტი არც გადადგომას აპირებს და არც რიგგარეშე არჩევნების გამართვას. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ამით არ დასრულდება ეს ყველაფერი...

■ ■ ■

დომენტი სიჭინავას გუშინდელ განცხადებებს მალევე გამოეხმაურა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ლევან ყიფიანი.**

მინისტრმა განაცხადა: *„მქონდა საუბარი სიჭინავასთან, ოლიმპიურმა კომიტეტმა დანიშნა არჩევნები სპორტული თვალსაზრისით და უპრიანი იქნება, რომ სპორტულმა ფედერაციებმა ასევე ოლიმპიური ციკლის ქვეშ დანიშნონ ასევე რიგგარეშე არჩევნები, ასეთი შეთავაზება იყო".*

ყიფიანმა ისიც აღნიშნა, რომ ეს ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია და რომ აქ ინტრიგას ვერ ხედავს. მინისტრმა იქვე განაცხადა, რომ მისი მიზანია სპორტის დეპოლიტიზაცია.

სიჭინავას და ყიფიანის განცხადებები პიარულ ბრძოლას ჰგავს. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ფედერაციის სუბიექტები ირჩევენ, ანუ არჩევნებში გამარჯვებისთვის საფეხბურთო სამყაროს აზრი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მთლიანად საზოგადოების.

დავით თავართქილაძე

ლეგიონერები

ჯაბა კანკავა: 90 წუთი ნეაპოლში

ჯაბა კანკავა, რომელიც ბოლო დროს სისტემატურად ხვდება დნეპროპეტროვსკის "დნიპროს" ძირითად შემადგენლობაში, გუშინაც სასტარტო თერთმეტეულში გაამწესეს. მისი გუნდი ევროპის ლიგის ჯგუფური ეტაპის მეოთხე ტურის ფარგლებში "ნაპოლის" ესტუმრა და 2:4 დამარცხდა. არადა, 77-ე წუთამდე "დნიპრო" 2:1-ს იგებდა.

რაც შეეხება კანკავას, საქართველოს ნაკრების კაპიტანმა ნეაპოლში შეუცვლელად ითამაშა. შეგახსენებთ, იგი ეგვიპტესთან ამხანაგური მატჩისთვის ეროვნულ გუნდში გამოძახებული არ არის.

გამარჯვების შემთხვევაში "დნიპრო" ქულათა მაქსიმუმს დააგროვებდა და მეთექვსმეტედფინალის საგზურს დაიბევებდა, თუმცა ახლაც კომფორტულ მდგომარეობაშია, რადგან 9 ქულით ჯგუფს ერთპიროვნულად ლიდერობს.

ლევან ჯანეზაშვილი

ჯაბა კანკავამ (მარცხნივ) ნაპოლისთან სრულად იტამაშა

● პორტრეტი

ოთარ ხიზანეიშვილი

აღმართ-დაღმართი დინამოდან დინამოდე

თბილისის "დინამო", მოსკოვის "სპარტაკი", მოსკოვის "დინამო", გერმანული "ფრაიბურგი" – ოთარ ხიზანეიშვილს ამ კლუბების ღირსება დაუცავს და ძალები სხვა უცხოურ გუნდებშიც მოუსინჯავს, იყო საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი, დღეს კი იგი კვლავ თბილისის "დინამოს" ფეხბურთელია და მის დაცვის ხაზში საიმედოდაც გამოიყურება.

ოთარს საკმაოდ საინტერესო, დადებითი და უარყოფითი ასპექტებით გაჯერებული კარიერა აქვს. 31 წლის ხიზანეიშვილთან საუბარში მის მიერ განვლილი გზა გავიხსენეთ და დღევანდელობასაც შევეხეთ.

სანაპრებო დებიუტი და სპარტაკული სირთულეები

ფეხბურთელად ჩამოყალიბებას, უპირველესად, 35-ე საფეხბურთო სკოლასა და ბავშვობის მწვრთნელ **გოჩა ავსაჯანიშვილს** უმადლის, საქართველოს ნაკრებში დებიუტი 17 წლის ასაკში, ჰოლანდიელი **იოჰან ბოსკამპის** ხელმძღვანელობით ჰქონდა და თბილისის "დინამოს" მცველს დიდწილად ამან შეუწყო ხელი, რომ უცხოური კლუბების ინტერესი დაემსახურებინა.

ხიზანეიშვილი მოსკოვის "სპარტაკში" აღმოჩნდა და მასთან ერთად რუსეთის ჩემპიონიც გახდა, თუმცა არ მიიჩნევს, რომ იქ გატარებული პერიოდი მის კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესოა:

"მოსკოვში 18 წლის ასაკში წავედი და ამისთვის ბოლომდე მზად არ ვიყავი. ალბათ, რომ მისი კარიერის მეორე აღმავალი ტალღა სწორედ ეს იყო.

"მოსკოვის "დინამო" საჩემო გუნდი აღმოჩნდა. იმ დროისთვის რუსულსაც კარგად ვფლობდი და საფეხბურთო გამოცდილებაც სამყოფი მქონდა. ძირითადშიც სისტემატურად ვთამაშობდი, მოსკოვში ცხოვრებასაც შევეგუე და თანაგუნდელებთანაც გამოვნახე საერთო ენა. თუმცა მაინც მსურდა დასავლეთ ევროპაში თამაში და როცა "ფრაიბურგის" წინადადება მივიღე, დიდხანს არ მიყოყმანია".

"ფრაიბურგშიც" ეფექტურად დაიწყო და გერმანიაში კარგი პრესაც ჰქონდა, თუმცა საქართველო-თურქეთის მატჩში მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო, რამაც წელიწადზე მეტი გააცდენინა.

"საუბედუროდ, მაშინ დავშავდი, როცა კარიერის საუკეთესო პერიოდი მქონდა. პირველ ბუნდესლიგაში სტაბილურად ვთამაშობდი და ზუსტად ვიცოდი, რომ მალე "ფრაიბურგ ზე" უფრო ძლიერ გერმანულ კლუბში გადასვლის შესაძლებლობა მომეცემოდა. ამ ტრავმამ კი ძალიან დამხია უკან".

ამის მიუხედავად, "ფრაიბურგთან" მაინც კარგი მოგონებები აკავშირებს, განსაკუთრებით თბილად კი გუნდის მაშინდელ მწვრთნელ **ფოლკერ ფინკეს** იხსენებს: *"თბილი და სამართლიანი ადამიანი იყო და ბევრი კოლეგისგან განსხვავებით, ფეხბურთელებს ეროვნების მიხედვით არ ანსხვავებდა. კარგად ვიცით, რომ მას ქართველი ფეხბურთელების მიმართ ძალიან კარგი დამოკიდებულება ჰქონდა, მაგრამ იმავეს იტყვიან ნებისმიერი ეროვნების მოთამაშეები, ვისაც მათთან უთამაშიათ".*

ქართველი მწვრთნელებიდან კი ხიზანეიშვილი **გია გეგუჩაძეს** გამოარჩევს.

გადალახული დაბრკოლებები

ტრავმების გარდა, ხიზანეიშვილის ცხოვრებაში სხვა უსიამოვნებებიც იყო, რამაც მის კარიერას დაღი ტრავმებზე არანაკლებად დასვა. დღეს მოხარულია, რომ ყოველივე ეს წარსულს ჩაჰბარდა და აქვს საშუალება, მთელი ძალებით საყვარელ საქმეზე იყოს კონცენტრირებული.

"ბედნიერი ვარ, რომ ჩემი კარიერა გრძელდება და კვლავ მაქვს იმის საშუალება, ფეხბურთი სასურველ გარემოში ვითამაშო. დიდი მადლობა თბილისის "დინამოს", რომელმაც დიდი ნდობა გამომიცხადა და მაქსიმალურად ვცდილობ, ხელმძღვანელობის, სამწვრთნელო შტაბის, თანაგუნდელებისა და გულშემატკივრების ნდობა გავამართლო. საქართველოში "დინამოს" გარდა სხვა კლუბის ღირსება არ დამიცავს და ამითაც ძალიან ბედნიერი ვარ. "დინამო" ერთი დიდი, მეგობრული ოჯახია და მისი წევრობა ჩემთვის დიდი ბედნიერებაა".

განსაკუთრებული დღე

საფეხბურთო წარსულიდან სასიხარულოც ბევრი აქვს გასახსენებელი და გულსატკენიც, ერთი დღე კი არასდროს დაავიწყდება – ეს არის 2003 წლის 30 აპრილი, როცა საქართველოს ნაკრებმა თბილისში რუსეთს სძლია.

"შეიძლება ვინმეს ეთქვა, რომ ეს რიგითი საფეხბურთო მატჩი იყო, მაგრამ თითოეული ჩვენგანი კარგად აცნობიერებდა, რომ საქართველო-რუსეთი არ იყო ერთი ჩვეულებრივი თამაში. შესანიშნავად გვესმოდა, რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ეს მატჩი ჩვენი ერისთვის და მოედანზე სული და გული დავდეთ. მართლაც კარგად ვითამაშეთ, იღბალიც ჩვენს მხარეს იყო და ღვთის წყალობით, მთელ საქართველოს უდიდესი ზეიმი ვაჩუქეთ. ეს დაუვიწყარი ემოცია იყო.

აუცილებლად უნდა გავიხსენო ივო შუშაკი, რომელმაც ჩვენზე არანაკლებ შეისისხლხორცა ამ გამარჯვების მნიშვნელობა და რუსეთის ნაკრების დამარცხებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა".

ნაკრებთან კი, უპირველესად, მაინც იმედგაცრუება აკავშირებს:

"ისევე როგორც ნაკრების ყველა ამჟამინდელ თუ ყოფილ ფეხბურთელს, გული მტკივა, რომ ქართველ გულშემატკივრებს დიდი ნატვრა ვერ ავუსრულეთ და ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ერთხელაც ვერ გავედით. ცდა არ დაგვიკლია, მაგრამ მხოლოდ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

გულს მხოლოდ იმით ვიმშვიდებ, რომ საკუთარ სინდისთან აბსოლუტურად პ რნათელი ვარ: ნაკრებში ყოველთვის ვცხადდებოდი, ტრავმა არასდროს მომიგონებია და სწორედ ნაკრებში თამაშისას მივიღე ორი მძიმე ტრავმა".

მნიშვნელოვანი როლი დინამოში

გრძნობს, რომ როგორც გამოცდილს, თბილისის "დინამოში" დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება: *"მაქსიმალურად ვცდილობ, ახალგაზრდა თანაგუნდელებს ჩემი გამოცდილება გავუზიარო. გუნდში ძალიან მეგობრული გარემოა და ჩემთვის დიდი სიამოვნებაა ბიჭებთან ა ზრების გაცვლა-გამოცვლა. ჩემს გამოცდილებას ჩვენი მთავარი მწვრთნელი დუშან უჭრინიც აფასებს და ხშირად მთხოვს, რომ პარტნიორებს მისი ტაქტიკური ჩანაფიქრი ავუხსნა".*

ახალგაზრდა ფეხბურთელებს კი სიდინჯეს და გადაწყვეტილების ცივი გონებით მიღებას ურჩევს: *"რუსეთი და უკრაინა ფინანსური კუთხით შესანიშნავია, მაგრამ თუ ახალგაზრდა ფეხბურთელს არჩევანი აქვს, უმჯობესია, დასავლეთევროპულ კლუბს მიანიჭოს უპირატესობა. იქ მისი კარიერა უფრო სწორ კალაპოტში გადავა და თუ მოინდომებს, ახლო მომავალში ფინანსურადაც კარგად იქნება უზრუნველყოფილი".*

კარიერის დასრულების შემდეგ მწვრთნელობას არ აპირებს, საერთოდ კი ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდებას კიდევ რამდენიმე წელიწადი არ გეგმავს: *"ახლა ჩემი კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო ფაზაა, ხანგრძლივი დროის შემდეგ დადგა პერიოდი, როცა ფეხბურთის თამაში უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს და არ მაქვს მიზეზი, ამ სიამოვნებაზე უარი ვთქვა. 31 წლის ვარ, ეს კი მცველისთვის იდეალური ასაკია. ჩემს ანმყოსაც და ახლო მომავალსაც თბილისის "დინამოს" ვუკავშირებ".*

ლევან ჯანეზაშვილი

ოთარ ხიზანეიშვილი (მარცხნივ)

ფოტო: www.fcdinamo.ge

● სიტუაცია-ეროვნული ბიბლიოთეკა

გია ხურციძე

ტორპედო კანონიერად შევიძინეთ!

"ტორპედოს" ყოფილმა მეპატრონე, **გია ხურციძემ** "ლელოსთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ კლუბის დასაბრუნებლად სასამართლო პროცესის დაწყებას აპირებდა.

რამდენიმედღიანი დუმილი დაარღვია კლუბის ამჟამინდელმა მეპატრონემ - კომპანია "ვისოლი გრუპმა". განცხადებაში ვკითხულობთ: "ქუთაისის "ტორპედოს" შესახებ ბოლო დროს გაკეთებულ განცხადებებზე გვინდა განვმარტოთ, რომ "ვისოლი ჯგუფმა" აბსოლუტურად სამართლიანად და კანონის დაცვით შეიძინა "ტორპედო ქუთაისი" და მრავალმილიონიანი ინვესტიცია განახორციელა ამ ლეგენდარული კლუბის ასაღორძინებლად. ჩვენ მზად ვართ, საჭიროების შემთხვევაში, კლუბის შეძენასთან დაკავშირებით საზოგადოებას სრული ინფორმაცია მივაწოდოთ".

შეგახსენებთ, რომ 2005-2006 წლებში ქუთაისის "ტორპედოს" კლუბის მეპატრონე **გია ხურციძე** გახლდათ, რომელმაც "ლელოსთან" ინტერვიუში განაცხადა, რომ გუნდი 2005 წელს ყოფილი მეპატრონისგან, **ზურაბ ხინიკაძისგან** გადაიფორმა, რადგან ის "ტორპედოს" ლიკვიდაციას აპირებდა, ქუთაისის მერიამ კი ახალი კლუბის დაფუძნებაზე უარი უთხრა: მას "ტორპედოს" 60 პროცენტი ეკუთვნოდა, 40 პროცენტი კი - თურქ ბიზნესმენს, რომელიც შემდეგ "სამი ტუზის" მეპატრონემ გადაიბარა.

ხურციძის თქმით, 2005/2006 წლებში "ტორპედოში" 700 ათას დოლარამდე დახარჯა, მაგრამ ამბობს, რომ 2006 წელს გუნდი სახელმწიფო ჩინოვნიკებმა ზეწოლის შედეგად დაათმობინეს.

ხურციძემ ადვოკატებთან კონსულტაციები გაიარა და სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს. მაგრამ საქმის გართულების თავიდან ასაცილებლად, ახალ მეპატრონესთან დალაპარაკებას სურდა.

მერე იყო ხურციძის რამდენიმე სატელევიზიო ინტერვიუ და როგორც ჩანს, მოლაპარაკება არ გამოვა – ლოგიკურად, "ვისოლი გრუპის" ზემოთ მოყვანილი განცხადება ამაზე უნდა მიუთითებდეს.

მერაბ მამულაშვილი

ქართული ფეხბურთი

● უცხოურ პრესაში

ჯენოას პრესსამსახური: კალაძე კლუბის შეძენას არ აპირებს

კახა კალაძე

გუშინ იტალიურ მედიაში გავრცელდა სენსაციური ინფორმაცია, თითქოს, **კახა კალაძე** "ჯენოას" აქციების შეძენას აპირებდა.

ინფორმაციების თანახმად, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი, "მილანის", "ჯენოასა" და საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველი ცნობილი იტალიური კლუბის აქციების შეძენას ბიზნესჯგუფებთან ერთად აპირებდა.

თუმცა, "ჯენოას" პრეზიდენტმა **ენრიკე პრეციოზიმ** გუნდის ოფიციალურ ვებგვერდზე საგანგებო განცხადება გააკეთა და იტალიური მედიის ეს ცნობა უარყო.

"ეს არის უსაფუძვლო ხმები. საფეხბურთო კლუბი "ჯენოა" კატეგორიულად უარყოფს უცხოური ბიზნესჯგუფების მხრიდან ყველანაირ ინტერესსა და კლუბის გამოსყიდვის მცდელობას.

იმავეს ვამბობთ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის, კახა კალაძის შესახებაც. ეს ცნობა მისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. კალაძეს არც თავად აქვს ეს ჩანაფიქრი და არც მეორე თუ მესამე პირის დახმარებით სურს კლუბის დაპატრონება" – ვკითხულობთ განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ კახა კალაძე "ჯენოაში" 2010-2012 წლებში თამაშობდა, გუნდის ვიცე-კაპიტანიც გახლდათ და კარიერაც ამ კლუბში დაასრულა.

● ფუტსალი

პორტუგალია ისევ გვინდვევს

ხატოვანი, მაგრამ ზუსტი ფრაზაა – ყოველდღე ტელევიზიაში სარი რომ აჩვენონ, ისიც პოპულარული გახდება. ეს კარგად ესმით საქართველოს ფუტსალის ასოციაციის ხელმძღვანელებს და სახეობის პოპულარიზაციის უპირველეს საშუალებად სატელევიზიო ეთერში გასვლა მიაჩნიათ.

საამისოდ საკაბელო არხის "ფუტსალ ტვ"-ს დაარსებაზე ფიქრობენ. ექსკლუზივის პერსპექტივა აქვთ, რადგან ტელეკომპანიები RTP 1, RTP 2 და VEO 7 მზად არიან, საქართველოს ტერიტორიაზე რეტრანსლაციის უფლება ჩვენი ფუტსალის ასოციაციას დაუთმონ. მაყურებელი ესპანური და პორტუგალიური ფუტსალის გრანდების თამაშებს იხილავს, რაზეც საქართველოში ფუტსალის პოპულარობის გაზრდის იმედს ამყარებენ. აღნიშნული პროექტის წარდგენას ასოციაცია საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში აპირებს.

ამავე დროს, საქართველოს ფუტსალის ასოციაცია მოლაპარაკებას აწარმოებს "მეცხრე არხთან", რომ მაუწყებელმა 4 დეკემბერს უეფადან სანაკრებო შესარჩევი ციკლის კენჭისყრის ტელერეპორტაჟი გადასცეს.

ამასობაში ცნობილი გახდა, რომ პორტუგალიის ნაკრები, რომელსაც **ავთანდილ ასათიანის** განწვრთნილები ოქტომბრის ბოლოს ორჯერ შეხვდნენ, თბილისში, სავარაუდოდ, აპრილში გვესტუმრებიან. ეს პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა **პედრო რატინიომ** განაცხადა. 2013 წლის ნოემბერში კი, შესაძლოა, კვლავ ლისაბონში ვესტუმროთ.

პირენეელების ფეხბურთის ფედერაცია 2006 წელს საქართველოს ფუტსალის ასოციაციის სტრატეგიული პარტნიორი გახდა. მისი შუამავლობით, კომპანია "კასტრო ბრაზერსმა" კი, 2006 და 2008 წლებში, მუნდიალიტოებზე ჩვენი ეროვნული ნაკრების სრული დაფინანსება ითავა.

შეგახსენებთ, რომ ლისაბობში საქართველოს ნაკრებმა ერთი შეხვედრა მოიგო, ერთიც წააგო (4:2, 0:8). უახლოეს წარსულში პორტუგალია შინ მხოლოდ ერთხელ დამარცხდა ბელგიასთან, რომელიც სავსეა ბრაზილიელებით. ტაილანდში მსოფლიოს ჩემპიონატზე სათამაშოდ ჩასული პორტუგალიის ნაკრების მთავარ მწვრთნელს, **ჟორჟე ბრაზს** ჟურნალისტმა ამიტომაც ჰკითხა, როგორ "მოახერხა" მისმა გუნდმა ქართველებთან დამარცხება.

"ყველას ვურჩევ, ქართველებთან ითამაშონ. აშკარაა, რომ მათი ნაკრები აღმავლობის გზას ადგას. ეს გუნდი საჩუქარი არ გეგონოთ" – ასეთი იყო ბრაზის პასუხი.

პორტუგალიური თამაშების შემდეგ საქართველოს ნაკრების მიმართ ინტერესიც გაიზარდა. წინასწარი მონაცემებით, პირენეელებთან ერთი გამარჯვებით მსოფლიოს რეიტინგში მდგომარეობას საგრძნობლად გავიუმჯობესებთ.

დაბოლოს: სფა-ს პრეზიდენტი **ლევან ცქიტიშვილი** სპონსორებს ეძებს საქართველოშიც და მის გარეთაც. გერმანული კომპანია TUI AG, მომავალი წლის თებერვალში სასპონსორო პაკეტში საქართველოს ფუტსალის ასოციაციის საკითხს განიხილავს. კომპანიის ხელმძღვანელმა **ნორბერტ შმიდტმა** ქართულ მხარეს აცნობა, რომ საქართველოს ნაკრების სპონსორობის საკითხი 2013 წლის გეგმაში განიხილება.

მერაბ მამულაშვილი

● ზუგდიდი

ლევან აკობია: ფული რომ იყოს, სამეულში მოვხვდებოდით

ზუგდიდის საფეხბურთო კლუბს, თითქოს, წყევლა დაებედა: ერთის მხრივ, ამ ქალაქში უზომოდ ნიჭიერი ფეხბურთელები იზრდებიან, რომლებიც მუდმივად თამაშობენ საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებში და არა მარტო: უკრაინის ახალგაზრდულ ნაკრებისა და კიევის "დინამოს" ახალგაზრდული გუნდის ცენტრალური მცველი **თემურ ფარცვანიაც** ზუგდიდელია. მსგავსი რაოდენობის ტალანტებით თავს ბევრი ქალაქი ვერ მოიწონებს.

მაგრამ მეორე მხარე დამთრგუნველია – საქართველოს დამოუკიდებელი ჩემპიონატების არსებობის ისტორიაში, ზუგდიდის გუნდი სამეულში ერთხელაც ვერ მოხვდა.

იმიტომ, რომ გუნდს მუდმივი ფინანსური პრობლემა დაებედა. ასე იყო ადრეც და ასეა ახლაც. ასე რომ, ბოლო პერიოდში გუნდის თავს განსაკუთრებული არაფერი ხდება - ფეხბურთელებს კვლავ უგვიანდებათ ხელფასის დარიცხვა, პრემიებზე ლაპარაკიც ზედმეტია. მათ რამდენჯერმე გაპროტესტება სცადეს და მოედანზე სათამაშოდ გასვლას არ აპირებდნენ. ბოლოს ისევ გულშემატკივრებს გაუწიეს ანგარიში, რომლებიც "ზუგდიდს" გვერდიდან არ სცილდებიან, გუნდს, რომელიც აღარ ფინანსდება არც ქალაქის მუნიციპალიტეტისგან.

წლეულს მაინც განსხვავებული ამბები ხდება: თუ ადრე გაჭირვება კლუბს ანგრევდა, ახლა "ზუგდიდი" პრობლემებს უმკლავდება და სატურნირო ცხრილის მე-4 ადგილზე წამოსკუპდა.

გუნდის გულშემატკივრები სხვა გუნდის ქომაგებს სხვადასხვა სოციალურ ქსელში ამაყად მიმართავენ, რომ რუსთავის "მეტალურგი" და "ზესტაფონი" ჩამოიტოვეს და მიუხედავად თანდაყოლილი ფინანსური პრობლემებისა, "ზუგდიდი" ჩემპიონატის ლიდერებს მეტოქეობას უწევს და მეოთხე ადგილზე ღირსეულადაა.

რა არის გუნდის წარმატების საიდუმლო? ამის შესახებ „ზუგდიდის" გამოცდილი მცველი, თბილისის "დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი ლევან აკობია გველაპარაკა.

"ზუგდიდში" კარგი არაფერი ხდება და არც ვიცი, რა იქნება. ჩვენი პატრონი არავინ არის. ლიდერებში ვართ, მაგრამ ერთი თვის ხელფასიც დასარიგებელია და ასაღები გვაქვს საკმაოდ ბევრი პრემიაც.

გუნდში უმეტესობას ოჯახი ჰყავს და საერთოდაც, ფული ყველას გვჭირდება. მოთამაშე ვარჯიშზე რომ გადის, მარტო ფეხბურთზე უნდა ფიქრობდეს და არა იმაზე, ხვალ რა ეშველება, ოჯახში რა მივიტანოო და ასე შემდეგ. ყველას თავისი ნაშრომი და ოფლით მოპოვებული უნდა.

ჯერ კატასტროფამდე არ მივსულვართ, მაგრად თუ ასვ.გაგრძელდა, მერე მართლა ცუდ დღეში აღმოვჩნდებით. დაპირებებით ვცხოვრობთ, რომ ფული იქნება. მდგომარეობის გამოსწორების იმედს არ ვკარგავთ. 15 ნოემბრიდან 20-მდე ყველა დავალიანებას გაგისტუმრებთო, მაგრამ ეს "დღეს-ხვალ" არ დამთავრდა.

ყველას აინტერესებს, ასეთ პირობებში გუნდში როგორი მდგომარეობაა და როგორ ვიგებთ. ერთ მუშტად ვართ შეკრული და გუნდი ოჯახივით არის. ამიტომ აქვს „ზუგდიდს" ასეთი შედეგი. ამ გუნდს მიხედვა უნდა. საცოდაობა იქნება, გუნდი რომ დაიშალოს. ბევრად მეტიც შეგვიძლია, სტაბილური დაფინანსება რომ იყოს, ზუგდიდურ გუნდს ასეთი გაწვალებული არსებობა არ ეკადრება. ჩვენს ქალაქში ისეთი რესურსია, ფული რომ იყოს, მინიმუმ, სამეულში უნდა ვხვდებოდეთ" – ამბობს აკობია.

გვერდი მოამზადა
მერაბ მამულაშვილმა

ლევან აკობია

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი და სამინისტროს თანამშრომლები მწუხარებას გამოთქვამენ ვეტერანი ფეხბურთელის

ენუქი თევზაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ПРЕМИЕРЛИГИС АУТСАЙДЕРЕБИ

რედინგის პრეზიდენტი სერ ჯონ მადეისკი, მთავარი მწვრთნელი ბრაიან მაკდერმოტი და კლუბის მესაკუთრე ანტონ ზინგარევიჩი

ფინანსური უფსკრული სახელად ფეხბურთი

"დეილი ექსპრესმა" "რედინგსა" და "ქუინზ პარკზე", ასევე მათ მესაკუთრეებზე საინტერესო მასალა შემოგვთავაზა, რომელსაც ქვემოთ უცვლელად გთავაზობთ.

ანტონ ზინგარევიჩი ამჟამად საქმიანი შეხვედრების გამო რუსეთში იმყოფება და უშუალოდ ტრიბუნებიდან არ უყურებია, თუ როგორ ითამაშა მისმა კლუბმა. თუკი ტრანსლაციაც არ უნახავს, ვეტყვით, რომ "რედინგმა" კიდევ ერთხელ ვერ მოახერხა ანგარიშის შენარჩუნება. ლიგის თასზე "არსენალთან" მატჩისგან განსხვავებით, ამჯერად "არისტოკრატებმა" "ქუინზ პარკთან" ფრედ მაინც ითამაშეს. ასე რომ, მისმა გუნდმა, ისევე როგორც "რეინჯერსმა" დღემდე არ იცით მოგების გემო. ისინი ცხრილის ბოლო საფეხურებზე არიან გამაგრებულნი. "რედინგი" განსაკუთრებით სუსტია დაცვაში. ის ლიგიდან გავარდნის ერთ-ერთი რეალური კანდიდატია.

რუსი მეწარმის წინაშე, ისევე როგორც "ქუინზ პარკის" ბოს **ტონი ფერნანდესს**, ორი შეკითხვა ისმის: შეუძლიათ თუ არა მომავალშიც ენდონ თავიანთ მწვრთნელებს და რას იზამენ იანვარში, გამოყოფენ თუ არა თანხებს ტრანსფერებისთვის. გაზაფხულზე ახალგაზრდა მდიდარმა რუსმა 25 მილიონი გადაიხადა "რედინგის" შესაძენად, მალაიზიელმა ფერნანდესმა კი კლუბი წინა სეზონის დასაწყისში იყიდა. როგორც ხედავთ, ოლიგარქებსა და შეიხებს მხოლოდ ზედა საფეხურებზე მდგომი კლუბები არ აინტერესებთ. მათ საკუთრებას შესაძლოა ცხრილის ფსკერზეც შეხვდეთ.

ზინგარევიჩს ბიზნესმენს ხშირად უწოდებენ. თუმცა თავად შეგიძლიათ განსაზღვროთ, რა დაუძახოთ მას. 30 წლის ანტონი რუსი მილიარდერის შვილია და ცოლად 23 წლის სუპერმოდელი ჰყავს. შეკითხვა ასე კი არ უნდა დაისვას, "მისის ზინგარევიჩ, რამ მოგხიბლათ შეძლებულ ქმარში", არამედ, ასე, "რამ მოხიბლა ზინგარევიჩი და ფერნანდესი ისეთ ფინანსურ უფსკრულში, როგორიც ფეხბურთია".

როცა "რედინგის" მთავარ მწვრთნელ **ბრაიან მაკდერმოტს** ჰკითხეს, სჭირდება თუ არა მის გუნდს ზამთარში გაძლიერება, სპეციალისტმა პასუხს თავი აარიდა, განაცხადა რა, ამ ეტაპზე მხოლოდ შემდეგი თამაში მაინტერესებსო. არადა, მაკდერმოტს მშვენივრად ესმის, რომ სხვაგვარად საქმე არ გამოვა. მზად არის თუ არა მესაკუთრე, ჯიბე კიდევ უფრო შეიითხელოს? ბოლო შეხვედრაში ხომ მისმა შეგირდებმა მხოლოდ ნიჭიერი მეკარის **ალექს მაკარტის** ხარჯზე სცადეს თამაშის მოგება. რუს ბიზნესმენს ერთადერთი უპირატესობა აქვს: მის კოლეგას და კონკურენტს უქმეებზე საქმე კიდევ უფრო ცუდად ჰქონდა. ფერნანდესმა თავისი გუნდის გაჭირვებას სწორედ ტრიბუნებიდან ადევნა თვალი.

ИНГЛИСИС НАКРЕБИ

ჰოჯსონი და ვეტერანი დებიუტანტი

უქმეებზე "მანჩესტერ იუნაიტედთან" დამარცხების შემდეგ "არსენალის" დამრიგებელმა **არსენ ვენგერმა** ინგლისის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **როი ჰოჯსონს** მოუწოდა, თავი შეეკავებინა ეროვნულ ნაკრებში **ჯეკ უილშირის** გამოძახებისგან. მიზეზი ცხადია, ფეხბურთელი 15-თვიანი პაუზის შემდეგ ჯერ კიდევ არ არის სათანადო ფორმაში და თანაც მას აუცილებლად სჭირდება კარგად დასვენება. გუშინ ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის ვებგვერდზე ჰოჯსონის რჩეულთა სია გამოქვეყნდა. 65 წლის სპეციალისტმა ვენგერის თხოვნა არ გაითვალისწინა და ჯეკს შეკრებაზე უხმო. ნაკრებში მიინვიეს "ევერტონის" 31 წლის ნახევარმცველი **ლეონ ოსმანიც**. ვეტერანი მიმდინარე სეზონს მაღალ დონეზე ატარებს და ეს ფაქტი არავის გაჰკვირვებია. ინგლისის ნაკრები შეხვედრას 14 ნოემბერს სტოკჰოლმის 65-ათასიან ახალაშენებულ "სვედბანკ არენაზე" გამართავს. აქვე აღვნიშნავთ, რომ **სტივენ ჯერარდისთვის** ეს მე-100 თამაში იქნება ნაკრების რიგებში.

მეკარეები: ფრეიზერ ფორსტერი (სელტიკი), ჯო ჰარტი (მანჩესტერ სიტი), ჯონ რადი (ნორვიჩი)

მცველები: ლეიტონ ბეინსი (ევერტონი), გარი კეჰილი, რაიან ბერტრანი (ორივე ჩელსი), ფილ იაგიელკა (ევერტონი), გლენ ჯონსონი (ლივერპული), სტივენ კოლკერი, კაილ უოლკერი (ორივე ტოტენჰემი), რაიან შოუკროსი (სტოკი)

ნახევარმცველები: ეშლი იანგი, ტომ კლეევერლი (ორივე მანჩესტერ იუნაიტედი), ლეონ ოსმანი (ევერტონი), სტივენ ჯერარდი, ჯონჯო შელვი, რაჰემ სტერლინგი (ყველა ლივერპული), აარონ ლენონი (ტოტენჰემი), ჯეკ უილშირი, თეო უოლკოტი (ორივე არსენალი)

თავდამსხმელები: უეინ რუნი, დენი უელბეკი (ორივე მანჩესტერ იუნაიტედი), დენიელ სტარიჯი (ჩელსი)

როი ჰოჯსონმა არ გაითვალისწინა არსენ ვენგერის თხოვნა და ჯეკ უილშირს ნაკრებში უხმო

ამბები

ბრძოლა ჯურიჩიჩისთვის

"დეილი მეილის" ინფორმაციით, "ლივერპული" "ჰერენვენის" სერბი ცენტრალური ნახევარმცველის, 20 წლის **ფილიპ ჯურიჩიჩისთვის** ბრძოლაში ფავორიტად იქცა. ახალგაზრდა ფეხბურთელის შეძენას "ნიუკასლი" და "მანჩესტერ იუნაიტედიც" ცდილობენ. ცნობილია, რომ "წითლები" იანვრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე შეეცდებიან რამდენიმე ფეხბურთელის გადაბირებას. აქცენტი უფრო მეტად თავდამსხმელებსა და შემტევ ნახევარმცველებზე გაკეთდება. ჯურიჩიჩს "ჰერენვენთან" კონტრაქტი 2014 წლის ივნისში უმთავრდება. ჰოლანდიური კლუბი მას 8 მილიონ ევროდ აფასებს. მიმდინარე სეზონში ფეხბურთელმა ყველა ტურნირში ერთად 20 თამაშში 5 გოლის გარდა 2 საგოლე გადაცემაც მიითვალა. მოლაპარაკებების პროცესში "ლივერპულს" "ჰერენვენის" ყოფილი ფეხბურთელი **უსამა აისადი** ეხმარება.

სმოლინგის ბედნიერება

ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში "ბრაგასთან" ზუსტად 6-თვიანი პაუზის შემდეგ მოედანს 22 წლის **კრის სმოლინგი** დაუბრუნდა. სერ **ალექს ფერგიუსონმა** მას 90 წუთი მისცა სათამაშოდ. ფეხბურთელს დამრიგებლისთვის არ ულალატია. აი, რა უთხრა სმოლინგმა ჩვენს ბრიტანელ კოლეგებს თამაშის დასრულების შემდეგ: *"ჩემპიონთა ლიგის მატჩების ყურება ტრიბუნებიდან ძალიან არასასიამოვნო იყო. სწორედ ამიტომ მიხარია გამოჯანმრთელება ყველაზე მეტად. სასიამოვნოა, რომ ისეთ თამაშში შედგა ჩემი ხელახალი დებიუტი, რომელშიც ვიმარჯვეთ. ჯგუფიდან ორი ტურით ადრე გასვლა ფერგიუსონს საშუალებას მისცემს, დარჩენილ მატჩებში ექსპერიმენტები ჩაატაროს, ახალი ფეხბურთელები გამოცადოს, ლიდერებს კი დასვენების საშუალება მისცეს. ხანგრძლივმა პაუზამ ძალიან გამაღიზიანა. განსაკუთრებით ძნელი ასატანი იყო ეს ზაფხულზე, როცა მე აღდგენით კურსს გავდიოდი, ჩემი თანაგუნდელები კი სეზონისთვის ემზადებოდნენ. იმედია, მომავალში სერიოზული პრობლემები ჯანმრთელობასთან დაკავშირებით აღარ მექნება".*

გზა გარეუბნიდან ჩრდილოეთით

"დეილი მირორის" ინფორმაციით, იანვარში "არსენალმა" შესაძლოა "ქუინზ პარკიდან" **ადელ ტაარაბტის** შეძენა სცადოს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი "მეთოფეები" "კრისტალ პალასიდან" 19 წლის **ვილფრედ ზაჰას** გადაბირებას 15 მილიონ ფუნტად ვერ მოახერხებენ. სიმართლე ითქვას, არც 23 წლის მაროკოელის ყიდვა გვგონია იოლი საქმე. ფეხბურთელი დიდი ხანი არ არის, რაც გამოჯანმრთელდა და ამასთან, ლონდონის გარეუბნის წარმომადგენლებს ყველაზე მეტად სწორედ მისი იმედი აქვთ პრემიერლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად გამართულ ბრძოლაში.

13 წლის რასისტი

ჩემპიონშიპის "მილუოლის" ხელმძღვანელობამ ჯერჯერობით განუსაზღვრელი ვადით აუკრძალა "დენზე" საყვარელი კლუბის თამაშების ყურება 13 წლის გულშემატკივარს, ვინც "ბოლტონისა" და ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელ **მარვინ სორდელის** რასისტულ შეურაცხყოფაშია ბრალდებული. ინციდენტი 6 ოქტომბერს აღნიშნული გუნდების დაპირისპირებისას მოხდა. თინეიჯერმა ფანმა ფეხბურთელს ფოსტით წერილი უკვე გაუგზავნა და პატიება ითხოვა. "მილუოლმაც" სწორედ ამის გამო გადაწყვიტა, არ მიეცა მისთვის სამუდამო დისკვალიფიკაცია. მეტიც, ბავშვი უკვე ჩაერთო საგანმანათლებლო პროგრამაში "მილუოლი ყველასთვის", რომლის მიზანი სწორედ ასეთ მოვლენებთან ბრძოლაა.

ВАРСКВЛАВИ

ფერნანდო ტორესსა და სტივენ ჯერარდს შორის მეგობრობა ლივერპულის მერეც გრძელდება

მაღლობა პარტნიორს!

"ჩელსის" თავდამსხმელმა **ფერნანდო ტორესმა** მანამ, ვიდრე 2011 წლის იანვარში "სტემფორდ ბრიჯზე" ამოყოფდა თავს, "ლივერპულში" 3.5 წელი გაატარა. "ელ ნინიოს" შეფასებით, ეს პერიოდი ყველაზე წარმატებული იყო მის კარიერაში. ფერნანდოსთვის საუკეთესო პარტნიორად დღემდე "წითლების" კაპიტანი **სტივენ ჯერარდი** რჩება. ესპანელი აღფრთოვანებულია მეგობრის მიღწევით, "ნიუკასლთან" ჯერარდმა ხომ მშობლიური გუნდის ღირსება კარიერაში მეექვსასედ დაიცვა. აი, რას ამბობს ის:

- ვფიქრობ, რომ 600 თამაში უნიკალური მიღწევაა. ზუსტად 3,5 წლის განმავლობაში ვტკებებოდი მასთან ერთად თამაშით, რაც ყოველთვის უზარმაზარ სიამოვნებას მანიჭებდა. ეს ალბათ საუკეთესო პერიოდი იყო ჩემს კარიერაში. სწორედ "ლივერპულში" ჩამოვყალიბდი იმ ფეხბურთელად, რაც ვარ. მიხარია სტივის წარმატებები, დარწმუნებული ვარ, ის კიდევ ბევრჯერ ითამაშებს. ჯერარდს გამარჯვებულისა და ნამდვილი კაპიტნის მენტალიტეტი აქვს. ის იმ ფეხბურთელების რიცხვში შედის, რომელიც ყველას უყვარს. სტივი ყველას ეხმარება. ასე იყო ჩემს შემთხვევაშიც. როცა ინგლისში ჩამოვედი, ის ყოველმხრივ გვერდში დამიდგა და სერიოზული გავლენა იქონია ჩემს თამაშზეც. სტამბოლში ჩატარებული ჩემპიონთა ლიგის ფინალი, როცა "ლივერპულმა" 3-ბურთიანი ფორმა ამოქაჩა და საბოლოოდ ტურნირის გამარჯვებული გახდა, უშუალოდ მისთვის თუ კლუბის ყველა ფანისთვის განსაკუთრებულ მომენტად იქცა. სტივი ძალიან ამაყობს, რომ თავის გუნდთან ერთად ამხელა წარმატებას მიაღწია. თუმცა ის მატჩი ერთადერთი არ არის, რასაც მან მიაღწია. გადით ქუჩაში და ნებისმიერ გამვლელს ჰკითხეთ, რას ფიქრობენ მასზე. დარწმუნებული ვარ, ძალიან ბევრ საინტერესო რამეს მოგიყვებიან.

МАНЧЕСТЕР ЮНАЙТЕДИ

რუნი: ფინალისთვის მზად ვართ

ჩემპიონთა ლიგის მე-4 ტურში "ბრაგასთან" გამარჯვების შემდეგ "მანჩესტერ იუნაიტედის" ბანაკში აღნიშნული ტურნირის მოგებაზე ალაპარაკდნენ. სერ **ალექს ფერგიუსონის** თქმით, მისი გუნდის უმთავრესი კონკურენტი "რეალისა" და "ბარსელონას" გარდა დორტმუნდის "ბორუსია" იქნება. შოტლანდიელის საბრძოლო განწყობას იზიარებს **უეინ რუნიც**:

- ვან პერსი ფანტასტიკური ფეხბურთელია. მან გუნდს დიდი ძალა შესძინა. გოლების გარდა მოედანზე ის დამატებით დიდ სამუშაოსაც ასრულებს. ბოლო კვირების განმავლობაში შესანიშნავად წარმოაჩინა თავი "ჩიჩარიტომაც". ის, რომ გოლებს სწორედ თავდამსხმელები იტანენ, გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მიმდინარე სეზონში რამდენიმე ძალიან მძიმე შეხვედრა ჩავატარეთ, მაგრამ "ბრაგასთან" მატჩის მსგავსად არსად გაგვჭირვებია. ვფიქრობ, სინათლის გამორთვით გამოწვეულმა პაუზამ სერიოზულად შეგვიწყო ხელი. გამოვფხიზლდით და ძალები მოვიკრიბეთ. აშკარაა, რომ ჩვენი საუკეთესო ფეხბურთი არ გვითამაშია, მაგრამ სამი ქულა ავიღეთ და ეს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია. საბედნიეროდ, ჯგუფში პირველ ადგილზე ვართ. ამ თამაშის შემდეგ თამამად შეიძლება ითქვას, რომ მზად ვართ, ფინალში გასასვლელად ვიბრძოლოთ. ჩვენთვის უზარმაზარი სტიმულია, გაზაფხულზე ფინალი "უემბლიზე" რომ ტარდება.

გვერდი მოამზადა
ლევან ბიგილაშვილმა

უეინ რუნი

უცხოური ფეხბურთი

● მილანი

"მილანის" ლეგენდარული დაცვის ხაზი: მაურო ტასოტი, ფრანკო ბარეზი, ალესანდრო კოსტაკურტა, პაოლო მალდინი

მიზეზი და გამოსავალი

საფეხბურთო აკადემია ისევ მოდაშია

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ევროპული მასშტაბით, სეზონის ყველაზე დიდი იმედგაცრუება ჯერჯერობით "მილანია" და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ბოლომდე ასე იქნება. ფაქტია, რომ მასიმილიანო ალეგრის გუნდი სერია A-ში მაქსიმუმ ევროტურნირის საგზურს წაეპოტინოს, ეს კი ევროპული ფეხბურთის აღიარებული გრანდისთვის სანუკვარ მიღწევად ნამდვილად ვერ ჩაითვლება. ანუ, გაუთვალისწინებელ შემთხვევაში ჩემპიონთა ლიგაზე წარმატებით ასპარეზობა იგულისხმება, მაგრამ რთული წარმოსადგენია, რომ ამ ფორმაციის "მილანმა" ევროარენაზე გაიბრწყინოს. მოკლედ, ლომბარდიული გრანდი არცთუ სახარბიელო მდგომარეობაშია და მთავარი კითხვა აქ ასე ჟღერს: ვისი, ან რისი ბრალია "მილანის" ასეთი დაღმასვლა? - რამ გამოიწვია ის, რომ მუდმივად ვარსკვლავებით გაძეძგილ "როსონერის" დღეს სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს თითქმის ყველა რგოლში? - ქვემოთ, სწორედ ამ თემის ირგვლივ ვიტრიალებთ...

110 მილიონი ევრო

სილვიო ბერლუსკონი 20 წელზე მეტია, რაც "მილანს" უდგას სათავეში და ამ პერიოდში უამრავი ფული აქვს დახარჯული. თითქმის ყველა ზაფხულს, სატრანსფერო ფანჯრის მთავარი გმირი "როსონერი" და მისი პრეზიდენტი გახლდათ. რა თქმა უნდა, არ გვავიწყდება **ადრიანო გალიანი**, რომელიც აგერ უკვე მერამდენე წელია, კლუბის საქმეებს განაგებს. პირველად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, "მილანის" მესვეურებმა სატრანსფერო ფანჯარა მთლიანად ჩააგდეს და გაცილებით მეტი ფეხბურთელი გაუშვეს, ვიდრე შეიძინეს. რით შეიძლება აიხსნას ეს ყველაფერი? - თუ იტალიელ ექსპერტებს დავუჯერებთ, სილვიო ბერლუსკონის მადა გაეხსნა და ერთ ზაფხულს, კოლოსალური ოდენობის თანხა იშოვა.

"მილანში" თაობათა ცვლის პროცესის კულმინაცია გასული ზაფხული გახლდათ, როდესაც გუნდი ერთბაშად რამდენიმე ვეტერანმა დატოვა. შეგვიძლია ჩამოვთვალოთ კიდეც მათი გვარები: **ალესანდრო ნესტა, ჯანლუკა ძამბროტა, ჯენარო გატუზო, მარკ ვან ბომელი, კლარენს ზეედორფი, ფილიპო ინძაგი** და ა.შ. ამ ყველაფერმა "როსონერის" ბიუჯეტი გვარიანად ახეირა, რადგან თითოეული ვეტერანი საშუალოდ 4-5 მილიონ ევროს იღებდა წელიწადში. დაახლოებით 30 მილიონი ევროს დაზოგვამ ბერლუსკონი აზარტში ჩააგდო და სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ორი საკვანძო ფეხბურთელი გაასაღა: **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** და **ტიაგო სილვა**. ორივეს სანაცვლოდ ლომბარდიული გრანდის ბიუჯეტი კიდევ 65 მილიონი ევროთი გაიზარდა და დაუმატეთ ამას ის სახელფასო დანაზოგი, რომელიც შვედის და ბრაზილიელის წასვლამ განაპირობა. ორივეს ერთად, სეზონურად 15 მილიონი ევრო სჭირდებოდა და ბერლუსკონის ეს პრობლემაც მოეხსნა. დავუმატოთ ეს ყველაფერი ერთმანეთს და სახეზეა ერთ წელიწადში მიღებული და დაზოგილი თანხების ჯამი, რომელიც 110 მილიონ ევროს შეადგენს.

მართალია, ლომბარდიელებმა რამდენიმე ფეხბურთელი გადაიბირეს, მაგრამ საერთო სურათზე ამას გავლენა არ მოუხდენია. თუ დონ სილვიო აქამდე შემადგენლობის გაძლიერებით და "მილანში" თანავარსკვლავედის შეკრებით ერთობოდა, გასულ ზაფხულს ფულის დაზოგვით და შეგროვებით შეიქცია თავი. უნდა ვაღიაროთ, ეს ერთგვარი აზარტია, რომელმაც "მილანი" და მისი გულშემატკივრები დააზარალა.

გამოსავალი

სად არის გამოსავალი და როგორ უნდა დაიბრუნოს "მილანმა" ძველი დიდება? - ეს ის კითხვებია, რომლებზეც პასუხია გასაცემი და სწორედ ეს პასუხები აინტერესებთ "მილანის" ქომაგებს ყველაზე მეტად. თუ "როსონერის" კრიზისის უმთავრესი მიზეზი სატრანფერო ფანჯრის ჩაგდებაა, გამოდის, რომ გამოსავალიც ამ მიმართულებით გააქტიურება გახლავთ... თუმცა, ასე მარტივად არ არის საქმე და თუ არ გვჯერათ, ლომბარდიული გრანდის ყოფილ მწვრთნელს, ლეგენდარულ **არიგო საკის** მოუსმინეთ:

"ზაფხულში მილანელები წამყვან ფეხბურთელებს გამუეთხოვნენ და ბუნებრივია, რომ ამით ბევრი ვერაფერი მოიგეს. პირიქით, გუნდი კრიზისშია და ძნელი სათქმელია, როდის დაადგება აღმავლობის გზას. ბევრი გამოსავალს ვარსკვლავების დაბრუნებაში ხედავს, მაგრამ მე სხვა პოზიცია მაქვს... ექსტრაკლასის ფეხბურთელებში მილიონების ყრა აღარავის სჭირდება, რადგან ეს მოძველებული მეთოდია. ვინ არის დღეს საფეხბურთო მოდის კანონმდებელი? - "ბარსელონა", რომელიც თავისი აკადემიის აღზრდილებით გადის ფონს და ფანტასტიკური შედეგები აქვს. ფეხბურთელები, რომლებიც ერთად გაიზარდნენ, აუცილებლად აჯობებენ თუნდაც ვარსკვლავებით გაძეძგილი მაგრამ შეკონწინებულ გუნდს. თანაც, 2014 წლიდან სავარაუდოდ ფინანსური ფეარპლეის პრინციპი ამოქმედდება და საკუთარ აკადემიას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა მიენიჭება. ასე რომ, "მილანის" მესვეურებმა" სკოლას უნდა მიხედონ, საიდანაც უამრავი ვარსკვლავი აღმოცენებულა".

საკის პოზიცია აბსოლუტურად გასაგებია - მის "მილანში" "მილანელოზე" აღზრდილი არაერთი ვარსკვლავი ბრწყინავდა. თუნდაც დაცვის ხაზი გავიხსენოთ, სადაც მარჯვენა ფრთას **მაურო ტასოტი** ამაგრებდა, მარცხენას **პაოლო მალდინი**, ცენტრში კი **ფრანკო ბარეზი** და **ალესანდრო კოსტაკურტა** მოქმედებდნენ. მართლაც ფანტასტიკური ოთხეული, რომელშიც "მილანელებს" მილიონები ნამდვილად არ გადაუხდიათ, ისინი უბრალოდ აღზარდეს. და რა ვითარებაა დღეს "როსონერის" დაცვის ხაზში? - ორი ვეტერანი კოლუმბიელი **მაიო იეპესის** და **კრისტიან საპატას** სახით, არასტაბილური **ფილიპ მექსე** და მეტოქე ფორვარდებზე არანაკლებ საშიში **დანიელე ბონერა**. ერთი სიტყვით, "მილანის" მესვეურებს სტრატეგიის შეცვლა მართებთ და საამისო მზადყოფნა უკვე არსებობს... ბოლოს, "როსონერის" ვიცე-პრეზიდენტს ადრიანო გალიანის მოვუსმინოთ:

"ფაქტია, რომ ბავშვთა აკადემიას მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ და ამ მიმართულებით უკვე გადავდგით კიდეც ნაბიჯები. სკოლის სისტემური რეორგანიზაციისთვის საკმაოდ დიდი თანხა გამოვყავით და დარწმუნებული ვარ, ეს შედეგს მალე გამოიღებს. პრაქტიკულად გადაწყვეტილია, რომ ფეხბურთში ფინანსური ფეარპლეის პრინციპი ამოქმედდება და ასეთ შემთხვევაში, სკოლას უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭება. ფაქტია, აკადემიას ყურადღება მოვაკელითთ და ფეხბურთელების ნაკადიც შეგვიმცირდა. პირობას გაძლევთ, რომ ეს აუცილებლად გამოსწორდება".

ლაშა წიკლაური

გასულ ზაფხულს "მილანის" ბიუჯეტი გვარიანად გაიზარდა

● ტრავმა

მაქსი მძიმედ დაშავდა

მაქსი ლოპესი

"სამპდორიას" საქმეები ყოველმხრივ ცუდად მისდის - გარდა იმისა, რომ თამაშს თამაშზე აგებს, წამყვან ფეხბურთელებსაც კარგავს. ჯერ იყო და, **ანდრეა პოლიმ** გამოტოვა ჩემპიონატის სტარტი, გასულ უქმეებზე კი ტრავმა **მაქსი ლოპესმაც** მიიღო. 28 წლის ფორვარდი საკმაოდ მძიმედ დაშავდა და მინიმუმ ერთთვიანი უქმობა მოუწევს. "გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, მაქსის სასწრაფოდ გაუკეთეს ოპერაცია და დღემდე საავადმყოფოში რჩება.

ექიმების მტკიცებით, რეაბილიტაციის პერიოდი მინიმუმ ერთ თვეს წაიღებს, რის შემდეგაც მაქსიმ ნელ-ნელა უნდა მოუმატოს დატვირთვებს. ანუ, გენუური გუნდი არგენტინელი ფორვარდის იმედზე კიდევ კარგა ხანს ვერ იქნება.

ლაშა წიკლაური

● ბლიცინტერვიუ

პროფესიონალიზმი და ენთუზიაზმი

გთავაზობთ "კორიერე დელო სპორტის" ინტერვიუს "ინტერის" 24 წლის მცველ ანდრეა რანოკიასთან.

- ვინ მოიგებს სკუდეტოს, "ინტერი" თუ "იუვენტუსი"?

- "ინტერი", რადგან გამარჯვება ჩვენ უფრო გვწყურია. დიდ იტალიურ დერბიში ეს ნათლად გამოჩნდა.

- რა არის "ინტერის" წარმატების ფორმულა?

- წარმატებასა და წარუმატებლობაზე სეზონის ბოლოს ვილაპარაკოთ. ისე კი, ჩვენი ძალა პროფესიონალიზმსა და უდიდეს ენთუზიაზმშია.

- ჩემპიონთა ლიგა თუ სერია A?

ანდრეა რანოკია

- ორივე ტურნირს უდიდესი ფასი ადევს. ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება ევროპული მასშტაბით აღიარებაა, სკუდეტოს მოგება კი ტიფოზებს განსაკუთრებულად ახარებთ. ასე რომ, არჩევანის გაკეთება მიჭირს.

- ანტონიო კასანო თუ სტეფან ელ შაარავი?

- ანტონიო კასანო ფენომენალური ფეხბურთელია, რომელიც მოედანზე საოცრებებს აკეთებს. როდესაც ბურთი აქვს, იცი, რომ მეტოქის კართან ვითარება აუცილებლად გამწვავდება. მე კასანოს ვირჩევ.

- იტალიის გარდა, რომელ ქვეყანაში იასპარეზებდით?

- ინგლისში, რადგან იქაურ სტადიონებზე განსაკუთრებული ატმოსფეროა. ინგლისელი გულშემატკივარი არც ერთ ვარდნას, არც ერთ ართმევას არ დაგიკარგავს.

- როდემდე ითამაშებთ "ინტერში"?

- ეს კითხვა ალბათ ხავიერ ძანეტისთვის უნდა დაგესვათ... ეს ხუმრობით, ისე კი, ვითამაშებ მანამ, სადამდეც გუნდს დავჭირდები. არ მივეკუთვნები იმ ფეხბურთელთა კატეგორიას, რომლებიც გუნდის გამოცვლას ლამობენ. ჩემთვის, "ინტერი" ყველაზე დიდი ფასეულობაა.

- მართალს ამბობენ შვებულებაში მყოფი ფეხბურთელები, ერთი სული მაქვს, სეზონი როდის დაიწყებაო?

- გააჩნია ფეხბურთელს. დარწმუნებული ვარ, ლიონელ მესი ამას გულწრფელად ამბობს.

- ვის მხარდამხარ ისურვებდით თამაშს?

- ლეონარდო ბონუჩის, რადგან მასთან ერთად ჯერ კიდევ "ბარიში" ვასპარეზობდი. ამბობდნენ, რომ ჩვენი სახით იტალიას ახალი ნესტა-კანავარო ეზრდება. ლეო ჩემი ახლო მეგობარია და გამიხარდება, თუ ერთ მშვენიერ დღეს "ინტერში" ვიხილავ.

- დაბოლოს, თქვენ თუ გადახვალთ "იუვენტუსში"?

- მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ "ინტერს" არ დავჭირდები.

ლაშა წიკლაური

● მოსალოდნელი დანიშვნა

ალოფსი ვოლფსბურგში?

ფელიქს მაგათი „ვოლფსბურგში" მწვრთნელიც იყო და სპორტული დირექტორიც, ახლა კი „მგლების" ხელმძღვანელებს ორი კადრის აყვანა სურთ. „შპორტ აინსის" ექსკლუზიური ინფორმაციით, გადაწყვეტილია, რომ „ვოლფსბურგის" სპორტული დირექტორი „ვერდერში" ამავე თანამდებობაზე მყოფი **კლაუს ალოფსი** გახდება. ეს უკანასკნელი ბრემენულ კლუბში 13 წელია მუშაობს, მაგრამ ბოლო დროს უკმაყოფილოა, რადგან ტრანსფერებისთვის საკმარის ფულს არ აძლევენ. უკმაყოფილოა „ვერდერიც", რადგან 55 წლის ალოფსის ბოლოდროინდელმა ტრანსფერებმა არ გაამართლეს. „ვერდერში" კლაუსი შესაძლოა ყოფილმა ფეხბურთელმა **ფრანკ ბაუმანმა** შეცვალოს.

გოტფრიდ ლენცი

● არგენტინა. სუპერთასი

სუპერთასი არსენალმა მოიგო

არსენალი-ბოკა 0:0 პენ. 4-3

სან ფერნანდო დელ ვალე დე კატამარკა, ან უბრალოდ კატამარკა, არგენტინის ჩრდილო-დასავლეთში მდებარე პატარა ქალაქია, სადაც სტუმრად ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი, ისტორიაში პირველი სუპერთასის გასათამაშებლად ჩავიდნენ.

ფეხბურთის პოპულარიზაციის მიზნით არგენტინის თასის თამაშები ნეიტრალურ მოედანზე, ისეთ ქალაქებში იმართება, სადაც ძლიერი საფეხბურთო გუნდი არ არის. არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ სუპერთასთან მიმართებაშიც ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო და "არსენალი"-"ბოკა ხუნიორსი" 200 000-იან კატამარკაში დაგეგმა.

ნამდვილად ვერ გეტყვით, რამდენად შეუწყობდა ეს თამაში ფეხბურთის პოპულარიზაციას ხელს, რადგან შეხვედრა უგოლოდ დასრულდა, მაგრამ მეორე მხრივ, გულშემატკივარმა დაძაბული და დრამატული ფინალი კი იხილა.

ორივე გუნდი თითქმის ოპტიმალური შემადგენლობით გავიდა სათამაშოდ, მაგრამ მომენტების მიუხედავად, გოლის გატანა ვერც ერთმა შეძლო. უპირატესობას "არსენალი" ფლობდა და **ოსკარ უსტარი** რომ არა, შეხვედრის ბედი ძირითად დროში "მეთოფეების" სასარგებლოდ გადაწყდებოდა. ერთადერთი მოთამაშე, რომელიც სტუმართა რიგებში გამოირჩეოდა, 21 წლის **გილერმო ფერნანდესი** იყო, სხვა მხრივ ყველამ ძალიან მძიმე შთაბეჭდილება დატოვა.

სამართლიანობამ პენალტების სერიაში იზეიმა, სადაც 90 წუთის განმავლობაში უსაქმოდ მყოფმა **კრისტიან კამპესტრინიმ** ორი პენალტი მოიგერია და საკუთარ გუნდს გამარჯვება მოუტანა. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ეს არგენტინის ისტორიაში პირველი სუპერთასი იყო და ის მოქმედი ჩემპიონის გამარჯვებით დასრულდა.

ტატო ბაციკაძე

● საფრანგეთის ნაკრები

დიდიე დეშამმა შემადგენლობა დაასახელა

ოთხშაბათს, 14 ნოემბერს, იტალიის ქალაქ პარმაში, ევროპული ფეხბურთის კლასიკური დაპირისპირება შედგება - იტალიის ნაკრები საფრანგეთის ნაკრებს უმასპინძლებს. ფრანგთა დამრიგებელმა **დიდიე დეშამმა** ამ შეხვედრისთვის გამოძახებულ ფეხბურთელთა სია გამოაქვეყნა. ნაკრებში ვერ მოხვდა **ქარიმ ბენზემა**, რომელმაც დორტმუნდის "ბორუსიასთან" მატჩის წინ ტრავმა მიიღო.

ეროვნულ გუნდში ბრუნდებიან "ლიონის" ნახევარმცველი **იოან გურკუფი**, რომელიც ტრავმის გამო დიდი ხნის განმავლობაში ვერ თამაშობდა და "ლილის" გარემარბი **დიმიტრი პაიე**.

მთლიანი შემადგენლობა კი ასე გამოიყურება:

მეკარეები: *მიკელ ლანდრო (ლილი), უგო ლორისი (ტოტენჰემი), სტივ მანდანდა (მარსელი).*

მცველები: *გაელ კლიში (მანჩესტერ სიტი), მატიო დებუში (ლილი), პატრის ევრა (მანჩესტერ იუნაიტედი), კრისტოფ ჟალე (პსჟ), ლორან კოშელნი (არსენალი), ადილ რამი (ვალენსია), მამადუ სახო (პსჟ), მაპუ იანგა-მბივა (მონპელიე).*

ნახევარმცველები: *იოან კაბაი (ნიუკასლი), ეტიენ კაპუ (ტულუზი), მაქსიმ გონალონი (ლიონი), იოან გურკუფი (ლიონი), ბლეზ მატუიდი (პსჟ), მუსა სისოკო (ტულუზი), მატიო ვალბუენა (მარსელი).*

თავდამსხმელები: *ოლივიე ჟირუ (არსენალი), ბაფეტემბი გომისი (ლიონი), ჟერემი მენეზი (პსჟ), ფრანკ რიბერი (ბაიერნი), დიმიტრი პაიე (ლილი).*

ტატო ბაციკაძე



იოან გურკუფი ნაკრებს უბრუნდება

● კოპა სუდამერიკანა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი.

სან პაულო-უნივ. დე ჩილე 5:0

(პირველი მატჩი 2:0)

გოლები: 1:0 ჟადსონი (5), 2:0 ლუკას მოურა (22), 3:0 ლუიზ ფაბიანო (29), 4:0 რაფაელ ტოლოი (64), 5:0 ჟადსონი (77).

"მორუმბიზე" კოპა სუდამერიკანას 1/4 ფინალის საპასუხო მატჩი გაიმართა, რომელშიც "სან პაულომ", იმ მომენტისთვის ტურნირის მოქმედი, ამჟამად კი უკვე ექსჩემპიონი დიდი ანგარიშით გაანადგურა, ორი მატჩის ჯამში კი საშვილიშვილოდ შეარცხვინა.

ნეი ფრანკოს შეგირდებს პირველი მატჩი 2:0 ჰქონდათ მოგებული და მშვიდად ყოფნაც შეეძლოთ, მაგრამ მასპინძლებმა მატჩი აქტიურად დაიწყეს და 29-ე წუთისთვის ანგარიში უკვე 3:0 იყო. შეხვედრის მე-5 წუთზე თავი "შახტარის" ყოფილმა ნახევარმცველმა **ჟადსონმა** გამოიჩინა და ანგარიში გახსნა, 22-ე წუთზე "პარი სენ ჟერმენში" მიმავალმა **ლუკას მოურამ** "არსენალიდან" განათხოვრებული **დენილსონის** პასი მიიღო და ორი მატჩის ჯამში, საკუთარი გუნდის უპირატესობა ოთხბურთიანი გახადა.

ამის შემდეგ **ლუიზ ფაბიანოს** ჯერიც დადგა – ვეტერანმა ფეხბურთელმა, რომელსაც 8 ნოემბერს დაბადების დღე ჰქონდა, თავისი მორიგი გოლი გაიტანა. ახლა 32 წლის ფორვარდს, წლეულს ჩატარებულ 39 შეხვედრაში 30 გოლი აქვს გატანილი. "სევილიას" ყოფილი ფეხბურთელი საკუთარი გუნდის გამოსვლით კმაყოფილი იყო: *"გულშემატკივრები გრძნობენ, რომ ახლა ჩვენი დრო მოდის. სეზონი ცუდად დავიწყეთ, ჩემპიონობის შანსი ხელიდან გავუშვით, მაგრამ შემდეგ დავლაგდით, უკეთ ავთამაშდით და ახლა უკვე ტიტულის მოსაგებად მზად ვართ. ყველაფერი ჩვენთვის სასიკეთოდ მიდის და დარწმუნებული ვარ, სუდამერიკანას თასს არავის დავუთმობთ"*.

"სან პაულო" ამ ტურნირის პირველი 1/2 ფინალისტია. შეგახსენებთ დარჩენილ სამ მეოთხედფინალურ წყვილს: "მილიონარიოსი"-"გრემიო" (პირველი მატჩი 0:1), "ტიგრე"-"სერო პორტენიო" (0:1), "უნივერსიდად კათოლიკა"-"ინდეპენდიენტე" (2:2).

მოგახსენებთ იმასაც, რომ 2012 წლის კოპა სუდამერიკანას გამარჯვებული 2013 წლის ლიბერტადორესის თასის საგზურს მიიღებს.

ტატო ბაციკაძე

ლუიზ ფაბიანომ მორიგი გოლი გაიტანა

● აშშ. MLS. პლეი-ოფი. კონფერენციების 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩები

რობი კინმა ორი გოლი გაიტანა

კონფერენციების გამარჯვებულები ბრძოლას გამოეთიშნენ

ქანზას სიტი-პიუსტონი 1:0

(პირველი მატჩი 0:2)

გოლი: 1:0 სინოვიჩი (64).

სან ხოსე-ლოს ანჯელესი 1:3

(პირველი მატჩი 1:0)

გოლები: 0:1 რობი კინი (21), 0:2 რობი კინი (34), 0:3 მაგი (39), 1:3 გორდონი (82).

ამერიკის შეერთებულ შტატებში ორი ნახევარფინალისტი გაირკვა. საინტერესოა, რომ პლეი ოფის პირველი ეტაპზე ორივე კონფერენციის გამარჯვებული დამარცხდა და ბრძოლას გამოეთიშა. ადრეც აღვნიშნეთ, რომ რეგულარულ სეზონში გამარჯვება, პლეი-ოფში არაფრის გარანტია არ არის და ჩვენი სიტყვები ამ ორმა შეხვედრამაც დაადასტურა.

აღმოსავლეთ კონფერენციის გამარჯვებული, "სპორტინგ კანზას სიტი" საკუთარ მოედანზე "ჰიუსტონ დინამოს" მასპინძლობდა. "სპორტინგ პარკი" ბოლომდე გაივსო და საკუთარი ქომაგებით გამხნევებული "კანზასელები" მეტოქეს ეკვეთნენ. უპირატესობას მთელი მატჩის განმავლობაში აღმოსავლეთ კონფერენციის გამარჯვებული ფლობდა, მაგრამ ერთ გოლზე მეტი ვერ გაიტანა. იმის გამო, რომ "კანზასს" პირველი შეხვედრა 0:2 ჰქონდა წაგებული, გუნდი "ემ-ელ-ეს"-ის თასისთვის ბრძოლას ამოეთიშა, აშშ-ის 2-გზის ჩემპიონი, ჰიუსტონის "დინამო" კი მესამე საჩემპიონო ტიტულისთვის ბრძოლას აგრძელებს.

კიდევ უფრო დიდი სენსაცია სანტა კლარაში, კალიფორნიულ დერბიში დაფიქსირდა. არა მარტო დასავლეთ კონფერენციის, არამედ მთლიანად რეგულარული სეზონის საუკეთესო გუნდი, "სან ხოსე ერთქვეიქსი" საპასუხო მატჩში "ლოს ანჯელეს გელექსის" მასპინძლობდა და თან ერთბურთიანი უპირატესობაც ჰქონდა. ამ წყვილში ფავორიტად თავიდანვე "სან ხოსე" მიიჩნეოდა, ხოლო ლოს ანჯელესში გამარჯვების შემდეგ ეჭვიც კი არავის ეპარებოდა იმაში, თუ ვინ გავიდოდა დასავლეთ კონფერენციის ფინალში, მხოლოდ ერთი ადამიანი, **დევიდ ბექჰემი** აცხადებდა მატჩის წინ, რომ საკუთარი გუნდის საბოლოო გამარჯვებაში დარწმუნებული იყო.

საბოლოოდ ბექჰემის წინასწარმეტყველება ახდა და ამაში უდიდესი წვლილი **რობი კინმა** და **ლენდონ დონოვანმა** შეიტანეს. ირლანდიელმა 34-ე წუთისთვის დუბლი შეასრულა და ორი მატჩის ჯამში საკუთარი გუნდი დააწინაურა. პირველი გოლი განსაკუთრებით ლამაზი გამოვიდა – კინმა მოედნის ცენტრიდან დრიბლინგი წამოიწყო და დაახლოებით 25 მეტრიდან აუღებელი დაარტყა, მეორე გოლის დროს კი დონოვანისგან მიიღო პასი და მეკარესთან ერთი-ერთზე დარჩენილმა დუბლი შეასრულა. 39-ე წუთზე ლენდონ დონოვანმა მეორე საგოლე პასი გააკეთა და ამჯერად **მაიკ მაგის** გაატანინა.

შეხვედრის ერთ-ერთი გადამწყვეტი ეპიზოდი 0:1-ზე მოხდა: ბოლო სამი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა, "სან ხოსეს" კაპიტანმა, **კრის ვონდოლოვსკიმ** ცარიელ კარში ვერ გაიტანა, რასაც ცოტა ხანში კინის მეორე გოლი მოჰყვა.

საბოლოოდ შეხვედრა 1:3 დამთავრდა და მოქმედი ჩემპიონი დასავლეთ კონფერენციის ფინალში გავიდა, სადაც მისი მეტოქე "რეალ სოლტ ლეიკის" და "სიეტლ საუნდერსის" წყვილში გაირკვევა. პირველი შეხვედრა, რომელიც სიეტლში გაიმართა, 0:0 დასრულდა.

აღმოსავლეთ კონფერენციას რაც შეეხება – "ნიუ იორკ რედ ბულსი"-"დი სი იუნაიტედის" მატჩი ნიუ იორკში მოსული დიდი თოვლის გამო ერთი დღით გადაიდო და გუშინ გვიან ღამით უნდა გამართულიყო. პირველი შეხვედრა, რომელიც აშშ-ს დედაქალაქში გაიმართა, ფრედ 1:1 დასრულდა.

ტატო ბაციკაძე

● დანაშაული და სასჯელი

ხუთეული დაისჯება

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი ახალგაზრდული ნაკრების ხუთი წევრის დასჯას აპირებს. **იან მვილამ** (რენი), **კრის მავინგამ** (რენი), **ანტუან გრიზმანმა** (სოსიედადი), **ვისამ ბენ იედერმა** (ტულუზი) და **მბაიე ნიანგმა** (მილანი) ახალგაზრდების ევროპის ჩემპიონატის პლეი-ოფის მატჩის შემდეგ, რომელიც საფრანგეთმა ნორვეგიას 1:0 მოუგო, ლე ავრიდან პარიზში იმგზავრეს და გამარჯვება ელისეს მინდვრებზე მდებარე ერთ-ერთ ღამის კლუბში აღნიშნეს.

თითქოს არაფერი, მაგრამ საქმე იმაშია, რომ "მამლებს" რამდენიმე დღეში საპასუხო მატჩი ელოდათ, რომელიც საფრანგეთის ნაკრებმა ნორვეგიაში 3:5 ააგო და ევრო 2013-ის საგზური "ვიკინგებს" დაუთმო.

ჟურნალისტების და სპეციალისტების აზრით, საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მომავალი არჩევნების გამო (15 დეკემბერს), დამნაშავეებს მკაცრად არ დასჯიან.

ტატო ბაციკაძე

● არჩევანი

სემმა გადაწყვიტა: ნიგერია

„ლევერკუზენის" 24 წლის შემტევი ნახევარმცველი **სიდნი სემი** გერმანიაში (კოლში) დაიბადა და გაიზარდა, მაგრამ ნიგერიის ნაკრებში თამაში სურს. სემის მამა ნიგერიელია და როგორც ჩანს, გუნდის მწვრთნელმა **სტეფენ კეშმ** სიდნის დათანხმება მოახერხა. ეს ინფორმაცია სემმა „კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში დაადასტურა. სემს გერმანიის თითქმის ყველა ასაკობრივ ნაკრებში უთამაშია, ეროვნული ნაკრების თავკაც **იოახიმ ლიოვის** ყურადღება კი ვერ მიიქცია.

გოტფრიდ ლენცი

● ჩემპიონთა ლიგა. IV ტური. ოთხგაბაითის მატჩების მიმოხილვა

ასეთია ფეხბურთი...

ჩელსის ბოლო წამი, მაგიური სალამო გლაზგოში და ბევრი სხვაც

ოთხგაბაითი რემპანოსა ლიგაში უმაღლეს დონე იყო „ჩელსის“ ძალიან ბაგარი „ბახტარი“ უკანასკნელ ნამატებზე, „სალტბურგში“ „ბარსელონამ“ ისე მოიგო, როგორც საფრთხე „ბარსელონას“ უეცრებ ხოლმე, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ არ მარტო მერეფდფილნაილის საგზური, არამედ პირველი ადგილიც გაიანდა, 8 მატჩში 35 (!) ეფექტი ვიყოდა.

E ჯგუფი

ჩელსი–ბახტარი 3:2

გოლები: 1:0 ტორესი (6), 1:1 ფალკინი (9), 2:1 ოსკარი (40), 2:2 ვალიანი (47), 3:2 მარტინ (94)

მაგრის საუკეთესო ფეხბურთელი: ეიდანი (ბახტარი)

არ გეგონდა, „ოუეენტუსის“ ან „ჩელსის“ გულშემაკოცრენს ვინაგინინო, მაგრამ ფაქტია: ვანეულია 4 ტურის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „ბახტარის“ ჯგუფიდან გასვლას იმსაბურებს! **მირნა ლეფენკუსუ** გუნდი „სტეფფორდ ბრიჯზე“ დამარცხდა, მაგრამ ნაგებისთვის ცოტა იყო და, თამამად ვიტყვით, „ჩელსის“ სეზონდა. ეფექტ მეტიც: მიეღო რიგ მომენტებში დონეკეცლები ლონდონელებს მტერმრსა უნდოდნენ და მმიწ ნიხოს ქეეშ აქეეფდნენ. პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: პირველ ტაიმში ლონდონელებმა „ბახტარის“ კარში მხოლოდ ერთხელ დაარტყეს და... ორი გოლი გაიტანეს!

მიხეიფიფიდი: **ფერნანდო ტორესის** გოლს ეკვლესსმობთ, რომელსაც **ჰიბერეის** მოგერეფდეთ ბეღლი ბრანდი მოხედა და აივე ვაივდი დონეკეცლია კარში. ეს ძალიან მალე, მეინ ნეფიზე მოხდა და ამის შემდეგ, შესვენებამდე, ფეხბურთის მხოლოდ ფერადიანები, ეფერო სნორად, უერანგლოთა ბრაზნიალეფის თამამობდნენ. **ეიდანმაც** ანგარიში ეფექტერი ვოლთ გაათანაბრა, მაგრამ ტაიმის მინერულს „ჩელსი“ მეორედ და ისევ ალეგიალეკერ და ფარკეკეფლნილ ეკონიროზეი გოლით დანინაურდა: საფეხრმოს გარეთ გამოვარდნილმა პიაგოიმ ბურთი თავით ბრიჯპარო **ოსკარის** მოიგერია, რომელმაც ერთი ფეხეთით დაარტყა, „ბახტარის“ მეკარეს დაამეფინთ 40 მეგრეფდან ბურთი თავზე ეგადაატარა და კარში ჩასვა.

მეორე გოლს „ბახტარის“ ეიდეე ეფერო ეკეეთ თამამებმა მოაყვა და მეორე ტაიმის დასაწყისში ვილიანმა დონეკეკლთა მოიგო თვალსაჩინო კომბინაცია კეკეე გოლით დაგაეფერეთ. „ჩელსი“ ეამოკეფლდა და მეკარეს, მაგრამ „ბახტარის“ მესამე ეფიფის ბანეაც შეეძლო. 70-ე წუთიდან ლუეენკეეს ბიჭებს დაკლეთ დაეტყოთ, თუმცა ლონდონელთა იერიშებს მაინც ეფლეფენდნენ „ჩელსის“ მერეეფდნელები გასვლის კარგი ბანით ბუენარეზნა.

რობერტო ეი მატეო („ჩელსის“ მწვრთნელი): „ეიეიფილი, რომ ეროთელი ბატრ ბეკეფოდა. ფლეს ჩეეფოდეს ბანა ეფლალ ფალკინ ბეფეფოდეს მნიშვნელობა ეეკინდა. ალკოთა, ან ეკეეფოდეს ეფლაფერი ბოლო ტურნირ გადაწყდეს.“

მირჩა ლუჩენკეეს („ბახტარის“ მწვრთნელი): „ჩელსის“ ეაკოთეთ ეა ასეთ თამამაში ნაგეა ორმაგად ეკეეთ ბატკეეთა. ნიმ კოდეე ორი ბატრა, ეე კ ბეკეეა, რომ ბეეფოდეს ეოთამაეეთ, რადგან ძალიან კარგი გუნდი გეკოვს.“

ოლეგბაეს-ფორფლილანდი 4:0

გოლები: 1:0 ბარკეზოო (6), 2:0 ვიდალი (23), 3:0 ფოფლო (36), 4:0 ცალიერეა (75)

მაგრის საუკეთესო ფეხბურთელი: ხაბანასი ჯოფოკო (ოლეგბაეს)

იტალიელების მონდეიბა რა ვთქვით, თორემ ეფერეფლეს დანიშნე მინიმეშ ამის ნახეეარი მონდოშეთ რომ ეთამაშთ, ალკა პირველ ადგილზე იქნებოდნენ და საქმე გართულებული არ იქნებოდათ, მაგრამ „ოუეენტუსი“ რისი „ოუეენტუსია“, თუ ეოთარება ეკოდოუნდერესად არ ჩაბლარია და ჯგუფიდან გასვლა ბოლო ტურამდე სათუო არ გარიბადა. სხეთია მორის, ბალო ტურში „ოუეე“ „ბახტარის“ სტუმრობის, მანამდე კი, ეალდეეეეთი იქნება, ტურინში „ჩელსი“ დაამარცხოს. ტურინელებმა თავიდანვე ეფიფის ბეფოეეს მეტოოეე და დანის ჩეპაონის საქმე სნორადეთ მოოთაეეეს - ეეეალი ბეფოეი ეფიფი რაღაც ეანაკეეეეენ ბეეალ. ტურინელთაგან ალეფალ ეე ეფეეეტერეი ეკ ეფეეეტერეი ეკ ეეეალ ეეეე

● ოლიმპიური ჩემპიონი

ლაშა შავდათუაშვილს ქუთაისმა უმასპინძლა

გუშინ ქუთაისს ლონდონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ძიუდოისტი **ლაშა შავდათუაშვილი** და მისი მწვრთნელი **ნიკო ბიბილაშვილი** სტუმრობდნენ. რიონისპირა ქალაქში სახელოვან სპორტსმენს თბილი შეხვედრა მოუწყვეს. ქუთაისის სპორტის ხელმძღვანელებმა შავდათუაშვილს ოლიმპიური სკვერი და სპორტის მუზეუმი დაათვალიერებინეს. შემდეგ ოლიმპიური ჩემპიონი აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებს შეხვდა და მათთვის საინტერესო კითხვებს უპასუხა. შავდათუაშვილი ქუთაისის სპორტის ხელმძღვანელობასთან ერთად რეაბილიტირებულ ბაგრატის ტაძარშიც იმყოფებოდა. მოგვიანებით კი ოლიმპიური ჩემპიონი მე-17 სპორტსკოლას ესტუმრა, სადაც ნორჩ ძიუდოისტებს შეხვდა და მათ წარმატებები უსურვა. *„თუ მუხლჩაუხრელად იშრომებთ და ვარჯიშს არ დაიზარებთ, დიდი წარმატებებსაც მიაღწევთ.“* – დაარიგა მან პატარა სპორტსმენები.

მასპინძლებმა ოლიმპიურ ჩემპიონს სპეციალურად მისთვის დამზადებული საჩუქრები უსახსოვრეს. ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელმა **დავით აბულაძემ** სტუმრებს მე-17 სპორტსკოლის ახალგარემონტებული სასტუმრო ოთახები დაათვალიერებინა, რომელიც უახლოეს დღეებში ოფიციალურად გაიხსნება და იქ გუნდებს შეკრებისთვის შესანიშნავი პირობები ექნებათ.

„ოლიმპიური ჩემპიონის სტუმრობა ძალიან მნიშვნელოვანია. ახალგაზრდები გახარებული არიან მასთან შეხვედრით. ახალმა თაობამ სწორედ ლაშა შავდათუაშვილისნაირი წარმატებული სპორტსმენებისგან უნდა აიღოს მაგალითი, იგი 20 წლის ასაკში გახდა ოლიმპიური ჩემპიონი და ეს ყველა ახალგაზრდისთვის დიდი სტიმულია.“–აღნიშნა დავით აბულაძემ.

შეხვედრით თავად ოლიმპიური ჩემპიონიც კმაყოფილი დარჩა. *„დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ქუთაისის სპორტის ხელმძღვანელებს ჩემი მონვევისთვის, ძალიან გახარებული ვარ, სტუდენტებთან და ბავშვებთან ძალიან თბილი შეხვედრა გამოვიდა, მათგან დიდი სიყვარული ვიგრძენი, ყველას ვუსურვებ წარმატებებს და ვეცდები, რომ გულშემატკივრების იმედები მომავალში გავამართლო.“* – თქვა ლაშა შავდათუაშვილმა.

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან

● ჭადრაკი

ქართველთა კვარცხეტი ზეგ იწყებს

ნინო ხურციძე

უკვე გაუწყეთ, რომ რუსულ ხანტი-მანსიისკში 11 ნოემბერს ნოკაუტსისტემით დაიწყება მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც ოთხი ქართველი დიდოსტატიც იასპარეზებს. პირველ რაუნდში **ბელა ხოტენაშვილი** (2504) მარიზა არიბასს (კუბა, 2273) დაუპირისპირდება, **ლელა ჯავახიშვილი** (2455) - ანასტასია ბოდნარუკს (რუსეთი, 2415), **ნინო ხურციძე** (2428) - ელენა დემბოს (საბერძნეთი, 2454) და **სოფიკო ხუხაშვილი** (2383) - ელინა დანიელიანს (სომხეთი, 2476).

ჩემპიონატისთვის მზადების შესახებ ხოტენაშვილსა და ჯავახიშვილთან ინტერვიუები ამას წინათ შემოგთავაზეთ, დღეს კი ჩვენი გაზეთის სტუმრები არიან ნინო ხურციძე და სოფიკო ხუხაშვილი.

ნინო ხურციძე საქართველოში მოჭადრაკე ქალთა შორის მოწინავე პოზიციებს დიდი ხანია, ინარჩუნებს. პირველად 1989 წელს 13 წლისამ მოიპოვა უფროსებში საქართველოს ჩემპიონობა და ჩვენთან ეს რეკორდი დღემდე მოუხსნელია (მომდევნო წლებში ტიტული მან კიდევ სამჯერ მოიხვეჭა). ნინოს კიდევ ერთი მიღწევა ეკუთვნის - ერთადერთი დიდოსტატი ქალია, რომელმაც ვაუებშიც დაიმსახურა ოქროს მედალი (1998 წელს). 16 და 26-წლამდელებში თითოჯერ, 20-წლამდელებში კი ორჯერ იყო მსოფლიოს ჩემპიონი, ორჯერ მსოფლიოს უნივერსიადა მოიგო, 20-წლიანებში ერთხელ ევროპელ თანატოლებსაც აჯობა. **მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადებზე** - 1998 წელს გუნდური მე-3 ადგილი, 2000 წელს - გუნდური ვერცხლი და მე-3 დაფაზე ოქროს მედალი; **გუნდურ მსოფლიოს ჩემპიონატებზე** - 2011 წელს მესამე ადგილი; **ევროპის გუნდურ ჩემპიონატებზე** - 2006 და 2009 წლებში მე-2 ადგილები, 2011 წელს გუნდური ბრინჯაო და მე-4 დაფაზე ვერცხლის მედალი; **ევროპის საკლუბო თასებზე** - 1998, 2000 და 2006 წლებში, შესაბამისად, თბილისის „მერანის“, იუგოსლავიის „აგროუნივერსალისა“ და ერევნის „მიკას“ შემადგენლობაში პირველი ადგილები, 2007 წელს კი „მიკასთან“ ერთად მე-3 ადგილი დაიკავა.

- ხანტი-მანსიისკში მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრების უფლება 2010 წლის ევროპის პირველობაზე მოვიპოვე, - გვითხრა ნინომ. - წილისყრა გვიან მოეწყო, ამიტომ ელენა დემბოსთან შესახვედრად მომზადება ერთი კვირის წინათ დავიწყე ხვიჩა სუპატაშვილთან, ჩემი მეუღლე - საერთაშორისო ოსტატი ბაჩანა მორჩილაშვილიც მეხმარებოდა. ბერძენი დიდოსტატი გამოცდილი მოჭადრაკეა. ხშირად შევხვედრივართ ერთმანეთს. მაშინდელ პარტიებს რომ გადავხედე, ვნახე, რომ ბევრჯერ მიმიღია მატერიალური უპირატესობა, მაგრამ, ეტყობა, სიჩქარის გამო უკეთესი პოზიციები ვერ გამომიყენებია და პარტიები ყაიმებით დამთავრებულა. თუმცა ამას ახლა არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან მთავარია, ჩემპიონატისთვის როგორ სპორტულ ფორმაში ვიქნებით. მსოფლიოს პირველობებში მეხუთედ ვმონაწილეობ და ვიცი, ნოკაუტსისტემას თუ როგორი წნეხი ახლავს - ერთი შეცდომაც კი, შესაძლოა, საბედისწერო აღმოჩნდეს. წინა ორ შეჯიბრებაზე მეოთხედფინალებში გავედი. ახლა ჩემი მიზანია, უფრო წინ წავიწიო და ქომაგებს იმედები არ გავუცრუო...

“წილისყრამ ძლიერი მეტოქე შემახვედრა - სომხეთის ქალთა ჭადრაკის ლიდერი ელინა დანიელიანი. ბოლო ორი წელიწადია, სხვადასხვა მიზეზით ტურნირებში იშვიათად ვმონაწილეობ, ამიტომ რეიტინგში დავქვეითდი. დანიელიანს მხოლოდ ერთხელ ვეთამაშე - რამდენიმე წლის წინათ ევროპის ჩემპიონატზე. ჩვენი მაშინდელი პაექრობა ყაიმით დასრულდა. მასთან შესახვედრად, ფაქტობრივად, არც მოვმზადებულვარ - რამდენიმე დღის განმავლობაში მეტოქის პარტიები მაია ლომინეიშვილთან ერთად გავარჩიე და სულ ეს იყო, თუმცა ხანტი-მანსიისკში უიმედოდ მაინც არ მივემგზავრები. ამ დონის ტურნირზე მეორედ ვიასპარეზებ: 2010 წელს პირველ წრეში რუსი ტუროვა დავამარცხე, მეორე რაუნდში კი მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონ ალექსანდრა კოსტენიუკთან (რუსეთი) წავაგე რაპიდში. ამჯერადაც არაფერს დავიშურებ პირველი ეტაპის გადასალახავად, მერე კი ვნახოთ”... - გვითხრა ხანტი-მანსიისკში გამგზავრების წინ სოფიკომ.

სოფიკო ხუხაშვილი

ბრძენთა თამაშის ქომაგებს შევახსენებთ, რომ ხუხაშვილმა 16-წლიანებში ორჯერ მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა, 2007-2009 წლებში საქართველოს ქალთა ჩემპიონატებში მეორე-მესამე ადგილები დაიკავა, 2008 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებულმა შარშანწინ მსგავს შეჯიბრებაზე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა, ევროპის გუნდურ ჩემპიონატებზე 2009 წელს ორი ვერცხლი, შარშან კი ბრინჯაო ერგო, ევროპის საკლუბო თასზე 2009 წელს თბილისის “სამაიას” შემადგენლობაში მე-3 ადგილი ხვდა. ასე რომ, სოფიკო ხუხაშვილს, სხვა ჩვენებურთა მსგავსად, გამოცდილება არ აკლია და, იმედია, წარმატებით გაგვახარებს.

ვაჟა დანელია

● გამოხმაურება. ინტერვიუ გურამ საღარაძესთან

ცუდას რად უნდა მტერობა...

გურამ ფერსელიძის დისკვალიფიკაციამ ჭიდაობის ყველა ქომაგს დასწყვიტა გული. მათ შორისაა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში გურამ საღარაძე, რომელიც თავად დაგვიკავშირდა და მომხდარზე გულისტკივილი დააფიქსირა. თუმცა შემთხვევით ვისარგებლეთ და სახელოვან ვეტერანს ჭიდაობასა თუ ქართულ სპორტში მიმდინარე სხვა საინტერესო მოვლენებზეც დავეკითხეთ.



- ფერსელიძის დისკვალიფიკაცია მართლაც მძიმე დარტყმაა ჩვენი ნაკრებისთვის. როგორ აფასებთ ამ ამბავს?

- ასაკის გადაკეთების ეს მავნე ტრადიცია შორეული წარსულიდან იღებს სათავეს, ჯერ კიდევ ყოფილი საბჭოთა კავშირის 50-იანი წლებიდან. ეს ტენდენცია სპორტში მაშინაც ფართოდ იყო ფეხმოკიდებული, ამით ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში ყოფნას იხანგრძლივებდნენ. თავის დროზე მეც შემომთავაზეს იმავეს გაკეთება, რადგან ხსენებული მიზეზის გარდა, ამ გზით შეიძლებოდა ჯარში გაწვევის გადავადებაც. სამწუხაროდ, ცუდი ჩვევა ინერციით გრძელდება დღემდე. ოღონდ გულწრფელად გეტყვით - თუ შენ ტალანტი და ნიჭიერი ხარ, ასაკის გადაკეთების გარეშეც მიაღწევ წარმატებებს. ცუდია, ამ ძველმა მანკიერებამ ახლა რომ იჩინა თავი. ფერსელიძე პერსპექტიული ახალგაზრდაა, რომელმაც ლონდონის ოლიმპიადაზე კარგად წარმოაჩინა თავი. მას მომავალ თამაშებზე ან მანამდე გასამართ მსოფლიოსა და ევროპის პირველობებზეც შეუძლია მედლის მოპოვება. ცხადია, ვარჯიშს არ შეწყვეტს და ჩვეულებრივად გააგრძელებს მუშაობას, მაგრამ ტურნირზე რომ ვერ გამოვა, ეს მაინც დაეტყობა.

- ასაკის გადაკეთების ინიციატივა ძირითადად მწვრთნელებისგან მოდის. არადა, ამით ისინი უმცროს ასაკში შედეგს კი იღებენ, მაგრამ წლებსაც უკარგავენ მათ, არ აძლევენ კანონზომიერად განვითარების საშუალებას და უფროსებში გადასვლის შემდეგ ბევრს უჭირს ადაპტაცია, თავის დამკვიდრება. რას ეტყოდით ასეთ მწვრთნელებს?

- ადრე, ნაკრების მწვრთნელობისას ყველას მკაცრად ვაფრთხილებდი ამაზე, მაგრამ, ხომ იცით, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო. ამას გამართლება არანაირად არ აქვს. ერთხელ და საბოლოოდ უარი უნდა თქვან ამაზე. ვფიქრობ, ქრისტიანი კაცი ამ ნაბიჯზე არ უნდა მიდიოდეს - ღმერთი რასაც მოგცემს, იმას უნდა დასჯერდე. იმედია, სპორტის სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა უკომპრომისო ბრძოლას გამოუცხადებს ამ მანკიერ მოვლენას, თორემ ხომ ვხედავთ, რამხელა სასჯელი მივიღეთ! სპორტსმენის გარდა, ფედერაციაც გვარიანად დაზარალდა - 12 ათასი შვეიცარიული ფრანკი არაა ცოტა თანხა. თუმცა ისიც საკითხავია, რატომ მაინცდამაინც საქართველო?

- ეს კითხვა ჩვენც გვაინტერესებს - რატომ მხოლოდ საქართველო?

- საქართველო პატარა ქვეყანაა, მაგრამ შედეგებით ჭიდაობაში დიდ ქვეყნებს ვუსწრებთ. 1952 წლის ოლიმპიადიდან მოყოლებული, როცა პირველად გამოვედით თამაშებში, ჩვენები ყოველთვის წარმატებით მონაწილეობდნენ ოლიმპიადებში. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგაც ასე გრძელდება, თუმცა ძალიან ვიჩაგრებით. საქართველო პატარა ქვეყანაა და ბევრს თვალში არ მოსდის, “ცუდას რად უნდა მტერობა”... ყველანაირად გვავიწროებენ, მაგრამ შედეგები მაინც გვაქვს. ლონდონის ოლიმპიადაზე ყველამ ვნახეთ, როგორ დაჩაგრეს ვლადიმერ გეგეშიძე და ვლადიმერ ხინჩეგაშვილი. სამწუხაროდ, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციაში ყველაფერი წინასწარაა გათვლილი, ყველა მედალი წინასწარაა განაწილებული. იქ საშინელი კორუფცია ტრიალებს. თუმცა არც ცალკეული ქვეყნები აკლებენ ხელს. მაგალითად, კუბელები ყიდიან ოქროს მედლებს. თურქები, ბულგარელები, რუსები და სხვებიც აქტიურად ვაჭრობენ. სპორტს არ უხდება ასეთი რამეები.

- კორუფცია მართლაც არსებობს, მაგრამ არის კულტურული ხმები, რომ ჩვენ ძველი, გადაუხდელი ვალებისთვის ვისჯებით. თქვენ გაქვთ ასეთი ინფორმაცია?

- ეს ამბავი მეც ასე კულტურულად ვიცი. ამის წინააღმდეგ მთელი მსოფლიოს სპორტმა უნდა აიმაღლოს ხმა, რადგან ამით სწორედ მსოფლიოს სპორტს ადგება ჩრდილი და ილანძღება.

- და რა მექანიზმია ამისგან თავის დასაღწევად?

- არაფერი იმის გარდა, რომ მეტოქეზე რამდენიმე თავით მაღლა უნდა იდგე, მსაჯებსაც კი არ უნდა დაუთმო არაფერი. ასეთი დაჩაგვრის მსხვერპლი მეც გავხდი ტოკიოს ოლიმპიადაზეც და ინდოეთშიც მსოფლიოს პირველობაზე. ტოკიოში თურქ ისმაილ ოგანთან თანაბარქულიან ვითარებაში ყველაფერი სასწორმა გადაწყვიტა, რადგან ის ჩემზე მსუბუქი აღმოჩნდა. სწორია ეს? თუმცა ჭიდაობაში წესები საერთოდ ვერ უძლებს კრიტიკას. ამ მხრივ ძიუდო ბევრად უფრო დახვწილია.

- წარმატებისთვის კარგი მომზადება მართლაც აუცილებელია, მაგრამ ხომ არ გეჩვენებათ, რომ ჩვენთან სავარჯიშო მეთოდიკა შესაცვლელი და გადასახალისებელია? ზოგიერთ საკითხში, მაგალითად - ფიზიკურ მომზადებაში გვარიანად ჩამოვრჩით...

» მე-11 გვერდზე

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია, გივი კარტოზიას და ვახტანგ ბალავაძის სახელობის საერთაშორისო ფონდი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 68 წლისა გარდაიცვალა გასული საუკუნის 60-იან წლებში ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი ფალავანი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი

ომარ თარგამაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი: 9. XI; გამოსვენება 10. XI. 14 სთ. პანაშვიდი და გამოსვენება წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიიდან (არამიანცის საავადმყოფოს ტერიტორია).

ქართული სპორტი

« 80-10 გვერდიდან

- აქამდე არსებულმა პიარზე აგებულმა მიდგომამ მიგვიყვანა დღევანდელ მდგომარეობამდე. ლევან ყიფიანმა უმძიმესი მემკვიდრეობა ჩაიბარა. ქართულ სპორტში მძიმე ვითარებაა, ძველი ტრადიციები თითქმის ყველგან გაუფასურდა, ჭიდაობის გარდა შედეგი ლამის არსადაა. თუნდაც ლონდონის ოლიმპიადის შედეგი ვნახოთ - მხოლოდ საჭიდაო სახეობების წარმომადგენლებმა მოიპოვეს მედლები.

ჭიდაობას რაც შეეხება, ქართულ ჭიდაობას თვალისჩინივით უნდა მოვუფრთხილდეთ, რადგან ის დიდ შევსებას აძლევს სხვა საჭიდაო სახეობებს და მაშინ მედლები ყოველთვის გვექნება. სხვათა შორის, ამას წინათ, შოთა ხაბარელმა ქარელში, სოფელ ფცაში ჩაატარა დიდი ტურნირი ქართულ ჭიდაობაში, რომელსაც ბიძინა ივანიშვილიც დაესწრო, ძალიან მოეწონა და მის აღორძინებაზეც გაგვესაუბრა. დაგვპირდა, რომ ყველა დიდ სოფელში ქართული ჭიდაობის არენებს გააკეთებს. აუცილებელი მგონია სოფლებში სპორტის განვითარების კოორდინაციისთვის რაღაც ისეთი რგოლის შექმნა, როგორიც ადრე იყო სპორტსაზოგადოება „კოლმეურნე“ - სოფლის სპორტი დიდ შევსებას აძლევდა ქართულ სპორტს.

ჭიდაობის აღორძინებისთვის პირველად ეს ნაბიჯი უნდა გადაიდგას, ამის შემდეგ კი მოგვარდეს დარბაზების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზების საკითხი, სასწავლო-სანვრთნელი ცენტრებისა თავისი სარეაბილიტაციო ბაზებით. ასევე აუცილებელია ყოფილი სპორტის აკადემიის აღდგენა, სპორტული მედიცინაც მეტად უნდა განვითარდეს. მისახედია ბაკურიანის ოლიმპიური მზადების ცენტრი - მთლიანი რეაბილიტაციაა ჩასატარებელი. ვფიქრობ, კარგი იქნება რეგიონებში მისი ფილიალების გახსნაც.

ფიზმომზადებაც ასევე მისახედია. დავსწრებივარ ჩრდილოკავკასიელების და კონკრეტულად დაღესტნელების ვარჯიშებს. ისინი ფიზიკურად ძალიან ბევრს მუშაობენ, ჩვენთან კი ამდენი ყურადღება არაა. როცა მთავარი მწვრთნელი ვიყავი, დავით გობეჯიშვილს ბაგირზე ასეთი დატვირთვით ვავარჯიშებდი - თოკზე 12-ჯერ შეუსვენებლად ადი-ჩამოდიოდა, იატაკზე ფეხსაც არ ადგამდა, არათუ დასვენება. მერე ფეხებზე ჯერ ფუთიანი, შემდეგ კი ორფუთიანი გირები დავკიდე და ისე ადიოდა - ეს ხელს უწყობს კიდურების გაძლიერებას... ფიზმომზადების სპეციალისტი ყველა სახეობაში უნდა იყოს, რადგან ფიზიკური მომზადება ერთ-ერთი გადამწყვეტია. მით უფრო, სპორტი წინ მიდის და ვითარდება.

- დასასრულს, სპორტის სფეროში, კონკრეტულად - სამინისტროში განხორციელებულ საკადრო ცვლილებებზეც გკითხავთ. რას ელით და რა სახის რეფორმებს ისურვებდით ახალი ხელმძღვანელობისგან?

- ახალ მინისტრს კარგად ვიცნობ, როგორც მის მამას, ყველასათვის საყვარელ ფეხბურთელსა და პიროვნებას. ვიმედოვნებ, ლევან ყიფიანი ყველაფერს გააკეთებს საქმის გამოსასნორებლად. ალბათ, უფროს თაობასაც გაგვინევს ანგარიშს და თუ რამეს დაგვეკითხება, ვუპასუხებთ, გავუანალიზებთ - ჩვენ მზად ვართ ამისთვის. მჯერა, თავის ირგვლივ ნიჭიერ ადამიანებს შემოიკრებს. ვისურვებდი, რომ აქცენტი ჭიდაობაზე გაკეთდეს, როგორც ყველაზე წარმატებულ სახეობაზე. მისი ნაბიჯებიდან ყველაზე მეტად ის მომეწონა, რომ მოსვლისთანავე გააკეთა განცხადება სპორტის დეპოლიტიზაციაზე. არ შეიძლება, სპორტსმენი - გინდ მოქმედი, გინდ - ვეტერანი ზონდერჯგუფის ან ძალოვანი უწყების ისეთი თანამშრომელი იყოს, რომელსაც პოლიტიკური მიზნით გამოიყენებ. სპორტი მთელ მსოფლიოში მშვიდობის დესპანია და ჩვენ ძალისმიერ იარაღად ნუ გადავაქცევთ.

ირაკლი თავაძე

● ჩოგბურთი

ნახევარფინალს უწია



სოფიო შაფათავა

ინდურ პუნეში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 125.000 დოლარი) ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლები **სოფიო შაფათავა** და **ოქსანა კალაშნიკოვა** ერთეულთა თანრიგს გამოეთიშნენ. წყვილებში შაფათავამ ინდოელ ნუშკა ბარგავასთან ერთად პირველივე წრის შეხვედრა იაპონელთა დუეტთან (დატე-კრუმი, ნარა) ორ სეტში წააგო - 2:6, 1:6; სამაგიეროდ, კალაშნიკოვა ყოჩაღობს: რუს ნინა ბრატჩიკოვასთან ერთად იგი ტურნირის მე-2 ნომრადაა განთესილი. სტარტზე მათ იოლად სძლიეს მასპინძლებს - ბოსალესა და ტომბარეს - 6:3, 6:3, შემდეგ უკრაინელები - სავჩუკი და სვიტოლინა დაჯაბნეს - 7:5, 6:2, რითაც 85 სარეიტინგო ქულა დაიმსახურეს. კალაშნიკოვა და ბრატჩიკოვა ნახევარფინალში ადამჩიკისა და ბერგსონის (ავსტრალია) მძლეველ ჩინელებს - ქსუს და ჟოუს დაუპირისპირდებიან.

ვაჟა დანელია

● კარატე

ოთხნი შვიდი მედლით

ოდესამ ამ დღეებში ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა კონტაქტურ კარატეში 12 ქვეყნის 500-მდე სპორტსმენის მონაწილეობით.

საქართველოს 5 სპორტსმენიდან 4 შინ მედლებით დაბრუნდა.

ვახტანგ კირკიტაძეს 2 პირველი, **დავით ლაფაჩიშვილს** 1 პირველი და 1 მეორე, **თორნიკე ქიმაძეს** 1 მეორე, **მერაბ ტურაშვილს** 1 მეორე და 1 მესამე ადგილები ხვდათ წილად.

ნაკრებს საქართველოს გოჯუ-რიუ კარატე-დო ასოციაციის პრეზიდენტი **მერაბ ტურაშვილი** და შეფ-ინსტრუქტორი **ლევან როგავა** ხელმძღვანელობდნენ.

ლელოს კორ.

სპორტული ფედერაციების საყურადღებოდ!

თქვენ მიერ ჩატარებული ნებისმიერი სპორტული და ორგანიზაციული ღონისძიების ოპერატიულად გაშუქების მიზნით დაგვიკავშირდით ჩვენი გაზეთის ცხელ ხაზზე: 599554897; ან 2.42.32.73 საღამოს და ღამის საათებში.

„ლელოს“ რედაქცია

● ქართველები NBA-ში



დებიუტი, თანაც ვისთან: შენგელია VS უეიდი

14-იანმა ფაჩულიამ -14 შემოატრიალა და ინდიანა ამოატრიალა

7 ნოემბრის საკალათბურთო ღამე ქართული კალათბურთის ისტორიაში გამორჩეული იყო. NBA-ში სწორედ ამ დღეს შედგა თორნიკე შენგელიას დებიუტი, თან არც მეტი, არც ნაკლები - დუეინ უეიდისა და ლებრონ ჯეიმსის წინააღმდეგ. „მაიამი“-“ბრუკლინის“ მატჩის პარალელურად ამერიკის დროით 19:30 საათზე დაიწყო „ატლანტა“-“ინდიანას“ დაპირისპირება. სწორედ ამ შეხვედრაში გამოჩნდა, რაოდენ დიდი როლი აკისრია დღევანდელ „ატლანტაში“ საქართველოს ნაკრების კაპიტან ზაზა ფაჩულიას. მან სეზონის რეკორდი დაამყარა - ბურთი 14-ჯერ მოხსნა.

ფაჩულია: ცხელ გულზე ემოციების შეკავება რთულია

„ინდიანასთან“ საშინაო მატჩის შემდეგ „ატლანტა ჰოქსის“ მთავარმა მწვრთელმა **ლარი დრიუმ** განაცხადა:

- სასტარტო ხუთეულისთვის ტანმაღალი კალათბურთელები ავარჩიე. წინა ხაზში ფაჩულია, ჰორფორდი და სმიტი დავაყენე. „ინდიანას“ დარ გუნდთან ამას შედეგი უნდა გამოეღო და ასეც მოხდა.

მოკლედ, ეს იყო პირველი საამსეზონო სასტარტო ზაზა ფაჩულიასთვის. იგი საწყის მეოთხედში ფარიდან ასხლეტილ ბურთს არავის უთმობდა, ხუთჯერ მოხსნა. დამაგვირგვინებელ ფაზაში კი **ჯოშ სმიტი** აქტიურობდა, საწყის წუთებზე ბურთს არ აციცებდა.

მეორე მეოთხედიდან მოედანს „ატლანტას“ სათადარიგოები დაეპატრონნენ, რომელთა შეკავება ინდიანელებმა ვერ მოახერხეს და მასპინძლებმა 10-ქულიანი უპირატესობა დაიბევეს.

მესამე პერიოდში ფაჩულიას ჩატენვის შემდეგ „ჰოქსის“ სასარგებლოდ 58:52 დაფიქსირდა... სწორედ ამის შემდეგ დაიწყო ატლანტელთა დაღმასვლა, რამაც პიკს მეოთხე პერიოდის მეექვსე წუთისთვის მიაღწია - „ინდიანა“ 83:69 დაწინაურდა. სირენამდე 6 წუთით ადრე 14-ქულიანი სხვაობის აღმოფხვრა თითქმის წარმოუდგენელია. თუმცა ატლანტელთა სახეების შემყურეთ, დაგრჩებოდათ შთაბეჭდილება, რომ მათ თამაშის მოგებისა სჯეროდათ. იყო ერთი გარემოებაც - „ინდიანას“ კალათბურთელები ნამდვილად ვერ თამაშობდნენ ისე სტაბილურად, რომ თავადაც დაეჯერებინათ წარმატება. შემოტრიალების ნერტილი **ჯეფ ტიგის** ორქულიანი იყო, რასაც **კაილ კორვერმა** ორი სამქულიანი, ერთი ორიანი მიაყოლა და იმავე ტიგის შორეული ტყორცნის შემდეგ „ჰოქსი“ წინ გაიჭრა - 85:83. დარჩენილ ერთ წუთში აბობოქრებული ჯორჯიელების შეჩერება სტუმრებმა ვეღარ შეძლეს.

გაზეთ „ატლანტა კონსტიტუშენში“ შემოტრიალების წერტილად ორი ტექნიკური შენიშვნაა დასახელებული:

„ერთწუთიან მონაკვეთში სმიტმა და ფაჩულიამ მსაჯისადმი გამოთქმული უკმაყოფილების გამო ტექნიკური ჯარიმები მიიღეს. ამ ეპიზოდის შემდეგ ჯორჯიელები ახალი ენერგიით დაიმუხტნენ და თამაშიც გამოაცოცხლეს.

- ბიჭებს ვუთხარი, რომ პანიკის დრო არ იყო, - იხსენებს „ატლანტას“ თავკაცი ლარი დრიუ, *- არც არბიტრების მხარდაჭერა გვჭირდება და არც მათდამი ყურადღების გამახვილება. თუ კაცები ვართ, ჩვენით მოვიგოთ-მეთქი. საბედნიეროდ, ამის შემდეგ ჩვენი საფირმო კალათბურთი ვითამაშეთ.*

ზემოთ ნახსენებ ეპიზოდთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ზაზა ფაჩულიამ:

- მეტი თავშეკავება უნდა გამოგვეჩინა. ამის თქმა ახლა იოლია, მაგრამ ცხელ გულზე ემოციების გაკონტროლება ძალიან რთულია. მეტი უნდა ვიმუშაოთ, სიმშვიდე შევინარჩუნოთ და წარმატებაც მოვა.“

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ იმ ეპიზოდში, როცა ფაჩულიამ ტექნიკური შენიშვნა მიიღო, მეტოქეები „რბილად“ ნამდვილად არ ეთამაშნენ და იმის ნაცვლად, რომ ჯარიმა დაესტვინათ, მსაჯებმა ზაზას ბურთი ჩამოართვეს. სწორედ ამან გააცხარა ფაჩულია.

ატლანტა-ინდიანა 83:86

ზაზა ფაჩულია: 34 წუთი, 6 ქულა (5-დან 3 ორქულიანი), 14 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 3 შეცდომა, 1 ფოლი.

I პერიოდი		
11:41	0-0	მოხსნა: შეტ-0, დაც-1
9:00	9-7	მოხსნა: შეტ-1, დაც-1
9:00	9-9	ორძულიანი: 2ძ
7:30	14-13	მოხსნა: შეტ-1, დაც-2
7:05	14-13	მოხსნა: შეტ-1, დაც-3
5:58	14-14	ჩაჭრა: 1 (იანგს აართვა)
5:18	16-14	მოხსნა: შეტ-2, დაც-3
3:36	19-18	ჩატენვა: 4ძ
2:25	21-20	ი. ჯონსონმა შეცვალა
II პერიოდი		
7:43	29-39	ჯონსონი შეცვალა
6:47	31-39	მოხსნა: შეტ-2, დაც-4
5:45	34-39	მოხსნა: შეტ-2, დაც-5
1:16	46-49	ორძულიანი: არაზუსტი
0:38	48-51	მოხსნა: შეტ-2, დაც-6
III პერიოდი		
11:47	50-51	მოხსნა: შეტ-3, დაც-6
11:44	50-51	მოხსნა: შეტ-4, დაც-6
11:29	50-53	პასი: 1 (სმიტი 2ძ)
10:41	50-53	მოხსნა: შეტ-4, დაც-7
9:12	52-58	ორძულიანი: 6ძ
7:15	58-62	ორძულიანი: არაზუსტი
6:41	58-62	ფოლი: 1
6:41	58-62	შეცდომა: 1
5:24	63-62	უილიამსმა შეცვალა
4:01	64-62	სმიტი შეცვალა
3:04	68-62	მოხსნა: შეტ-5, დაც-7
3:02	68-62	შეცდომა: 2
3:01	68-62	ტექნიკური შენიშვნა
3:01	69-62	ტოლივერმა შეცვალა
1:52	74-62	ჰორფორდი შეცვალა
1:38	74-62	მოხსნა: შეტ-6, დაც-7
IV პერიოდი		
7:01	81-69	ი. ჯონსონი შეცვალა
6:39	81-69	შეცდომა: 3
3:14	83-80	მოხსნა: შეტ-6, დაც-8
0:18	86-87	უილიამსმა შეცვალა
0:17	86-89	უილიამსი შეცვალა

„მისდიეთ სპორტს და შეძლებთ უკეთ ისარგებლოთ იმ ცოდნით, რომელსაც წიგნი შეგძენთ“

ალექსანდრე ფლემინგი, ნობელის პრემიის ლაურეატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სახელოვანი სტუმარი

ტანა უმაგა პორჯღალოსნებს დაეხმარება

მსოფლიოს რაგბის ლეგენდა, ახალზელანდიელი ტანა უმაგა თბილისშია. როგორც უკვე ვწერდით, მისი ვიზიტი საქართველოს ნაკრების ნოემბრის ტესტებს უკავშირდება. „ბორჯღალოსანთა“ მთავარმა მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმა „ოლ ბლექსის“ სახელოვანი ყოფილი კაპიტანი უკანა ხაზის გასაწვრთნელად მოიწვია.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები 17 და 24 ნოემბერს ორ ტესტ-მატჩს გამართავს იაპონიისა და ფიჯის ნაკრებებთან. ჩვენი გუნდის მეტოქეები საკმაოდ ძლიერები არიან და ასეთი მაღალი დონის მორაგბისა და იმავდროულად მოქმედი მწვრთნელის დახმარება ჩვენს ბიჭებს ნამდვილად წაადგებათ.

თბილისის აეროპორტში ***ტანა უმაგას*** *მოლოდინში ნაკრების მთავარ მწვრთნელს* ***მილტონ ჰეიგს*** *გავესაუბრეთ, რომელიც გუშინ გამთენიისას ტულუზიდან დაბრუნდა, სადაც ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა მოკლევადიანი საწვრთნელი შეკრება გაიარა:*

„ტულუზიდან დილით ადრე ჩამოვედით და ცოტა დაღლილები ვართ. საწვრთნელი შეკრებით ძალიან კმაყოფილი ვარ. ნაყოფიერი ვარჯიში გამოგვივიდა. ბიჭები შესანიშნავ ფორმაში არიან. მოთამაშეთა ნაწილი ამჟამად თბილისში იმყოფება, დანარჩენები ორშაბათს დაგვემატებიან. კარგი იქნება, თუ ეს პრაქტიკა, - მოკლევადიანი შეკრებები საფრანგეთში რეგულარულად გაიმართება.

სამწუხაროდ, შერკინების მწვრთნელმა კრის გიბსმა ოჯახური პრობლემების გამო დაგვტოვა. ამჟამად ორი ასისტენტი მყავს, ილია მაისურაძე და ილია ზედგინიძე. გიბსის შემცვლელის მოყვანას არ ვჩქარობთ, რადგან გვინდა, კანდიდატები ყურადღებით შევარჩიოთ და ყველა ზე საუკეთესო სპეციალისტ ზე შევჩერდეთ.

მალე ორი უმნიშვნელოვანესი შეხვედრა გველის და ისეთი მორაგბისა და მწვრთნელის გამოცდილება, როგორიც ტანა უმაგაა, ძალიან გამოგვადგება. ის საქართველოში პირველად არის და გვინდა ვაჩვენოთ ქართული სტუმართმოყვარეობა, სამზარეულო, გავასინჯოთ გემრიელი კერძები. დარწმუნებული ვარ ეს ყოველივე ძალიან მოეწონება.

ასევე, იმედი მაქვს, რომ მოვახერხებთ დავითანხმოთ, რომ ტანა უმაგა 2015 წლის მსოფლიოს თასზე ჩვენს სამწვრთნელო შტაბში იყოს“ - გვითხრა მილტონ ჰეიგმა.

ამასობაში აეროპორტის გამოსასვლელში ტანა უმაგაც გამოჩნდა. მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო სპორტსმენმა ძალიან უბრალო, თავმდაბალი და იუმორის გრძნობით დაჯილდოებული ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა.

ტანა უმაგა: *„საქართველოში რაგბის კავშირის მოწვევით ჩამოვედი. კარგად ვიცნობ თქვენი ნაკრების მწვრთნელ მილტონ ჰეიგს, რომელთან ერთადაც მიმუშავია.*

ვიცნობ ასევე რამდენიმე ქართველ მორაგბეს. გია ლაბაძესთან და დავით ქუბრიაშვილთან ერთად ვთამაშობდი კიდეც. ძალიან კარგი მორკინალები არიან. საქართველოს ნაკრების ოსტატობა კი ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასის გათამაშებისას მაქვს ნანახი.

ამ ეტაპზე ჩემი მიზანია, საქართველოს ნაკრებს ნოემბრის ტესტებში დავეხმარო. იმედი მაქვს, ერთობლივი მუშაობა ნაყოფიერი იქნება და წარმატებას მივაღწევთ. მართალია, დრო ცოტა გვაქვს, მაგრამ ყოველნაირად ვეცდები, ჩემი ცოდნა და გამოცდილება ქართველ მორაგბეებს გავუზიარო.“

შეგახსენებთ, რომ ტანა უმაგა ახალი ზელანდიის ნაკრების წამყვანი მორაგბე და კაპიტანი იყო.

მისი წინამძღოლობით „ოლ ბლექსმა“ 21 მატჩი გამართა და აქედან 19 მოიგო. სულ უმაგამ ეროვნულ გუნდში 74 კეპი მოიხვეჭა, ზე რაგბის გათამაშებაში კი 111 მატჩი აქვს გამართული. 2000 წელს ის ახალი ზელანდიის საუკეთესო მორაგბედ აღიარეს, 2005 წელს კი IRB-ის სეზონის საუკეთესო მორაგბის ნომინაციაზე იყო წარდგენილი.

წლეულს მისმა გაწვრთნილმა გუნდმა „ქაუნთის მანუკაუმ“ თავის დივიზიონში პირველი ადგილი დაიკავა და მომავალი წლიდან ITM-ის თასის გათამაშებაში, ანუ ახალი ზელანდიის ჩემპიონატის ელიტურ დივიზიონში, საუკეთესო შვიდეულში იასპარეზებს. ტანა უმაგამ ამ გუნდთან კიდევ ორი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი.

ამასობაში საქართველოს ნაკრების მოთამაშეთა ნაწილი „შევარდენის საბაკრებო ბაზაზე“ განაგრძობს მზადებას. მილტონ ჰეიგმა ტესტებისთვის გაფართოებული, 32-კაციანი სია გააცხადა. სამწუხაროდ, ტრავმების გამო დაგვაკლდებიან მესამეხაზელები **გიორგი ჩხაიძე** (ტარბი) და **დიმიტრი ბასილაია** (ედინბურგი).

საქართველოს ნაკრები

პირველი ხაზი: დავით ხინჩაგიშვილი, ირაკლი ნატრიაშვილი (ორივე-ბრივი), ვასილ კაკოვინი (ტულუზი), დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), ანტონ ფეიქრიშვილი (კასტრი), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი), მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე), შალვა მამუკაშვილი (არმია).

მეორეხაზი: ლევან დათუნაშვილი (ორიაკი), გიორგი ნემსაძე (ტარბი), ვახტანგ მაისურაძე (ალბი).

მესამე ხაზი: ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი), შალვა სუთიაშვილი (მასი), მამუკა გორგოძე (მონპელიე), ბექა ბიწაძე, გიორგი თხილაიშვილი (ორივე-არმია).

№9: ირაკლი აბუსერიძე (ოსერი), გიორგი ბეგაძე (ბათუმი), ვაჟა ხუციშვილი (ხარები).

№10: მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟუნიენი), ლაშა მალაღურაძე (ბაგნერე), ლაშა ხლამაძე (ლელო).

№12-13: მერაბ შარიქაძე (ჰართფურის კოლეჯი), დავით კაჭარავა (როდეზი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), რეზო გიგაური (მონლუსონი)

№11-14: ირაკლი მაჩხანელი (არმაზი), ალექსანდრე თოდუა (ალბი), გიორგი ფრუიძე (აია), თამაზ მჭედლიძე (მონ დე მარსანი).

№15: ირაკლი ყიასაშვილი (ლელო), საბა ნიკოლავა (არმია).

17 ნოემბერი

საქართველო-იაპონია

24 ნოემბერი

საქართველო-ფიჯი

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები

მარცხნიდან: ლაშა ხურციძე, მილტონ ჰეიგი და ტანა უმაგა

● მეტოქეები

ლომები

ლობუშები

ჭესტებს ლომები და ლობუშებიც გამართავენ

ერთა თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მეტოქეები პორტუგალიისა და ესპანეთის ეროვნული გუნდები ნოემბრის ტესტებზე ორ-ორ მატჩს გამართავენ.

ორივე ქვეყნის ნაკრებმა განვითარების ის გზა აირჩია, რომელიც უცხოელი მოთამაშეების ნატურალიზაციას ითვალისწინებს. განსაკუთრებით ბევრი ასეთი მოთამაშეა ესპანელთა გუნდში. მათი გვარების ესპანურმა წარმოშობამ არ მოგატყუოთ. ისინი საფრანგეთში დაბადებულ-გაზრდილი კატალონიელები და ბასკები არიან.

პორტუგალიის ნაკრები ნოემბრის ტესტებზე ურუგვაისა და ჩილეს ნაკრებებს დაუპირისპირდება. ახალზელანდიელმა **ერროლ ბრაიანმა** გუნდის შემადგენლობა საგრძნობლად გადაახალისა. ტესტებზე საასპარეზოდ გამოძახებული არ არიან გუნდის ლიდერები პირველხაზელი **კრისტიან სპაშუკი** და ბოლო წლების უცვლელი კაპიტანი, მესამეხაზელი **ვაშკუ უვა**. ასევე უკანახაზელები **დიოგო მატეუში**, რომელიც პორტუგალიის ნაკრების საუკეთესო მელელოვეა და საუკეთესო მექულე **გონსალო მალიერო**.

ესპანელი „ლომების“ მეტოქე კი ნამიბიისა და ზიმბაბვეს ნაკრებები იქნებიან. ესპანელების მწვრთნელი ფრანგი **რეჟის სონეს** ნაცვლად ახალზელანდიელი **ბრაის ბევინი** იქნება, რომელმაც თავისი წინამორბედის მიერ ჩამოყალიბებული გუნდი დიდად არ შეცვალა. ნაკრებს დაუბრუნდა ფეხმარდი ცხრა ნომერი **პაბლო ფეიხო**, რომელსაც შეუძლია სერიოზული პრობლემები შეუქმნას ნებისმიერ მეტოქეს.

ესპანეთის ნაკრებში სათამაშოდ გამოძახებულია ასევე „არმიის“ შერკინების ბურჯი **დავით გურგენიძე**, რომელიც ამ ქვეყნის მოქალაქეა და „ლომების“ რიგებში მესამე წელიწადია ასპარეზობს.

შეგახსენებთ, რომ 2012 წლის ერთა თასის გათამაშებაში ესპანეთის ნაკრებმა 16 ქულით მეორე ადგილი დაიკავა და საქართველოს ეროვნულ გუნდს ოთხი ქულით ჩამორჩა. პორტუგალიელებმა კი თავისთვის უჩვეულოდ ცუდად ასპარეზეს და ბოლოსწინა, მე-5 ადგილს დასჯერდნენ. მათ ანგარიშზე ერთი მოგება და ოთხი წაგებაა (7 ქულა).

ერთა თასის გათამაშება, რომელიც მომავალი წლის თებერვალში აიღებს სტარტს, იმავდროულად 2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების შესარჩევი ეტაპია. აქ ორი წლის ჯამში ორი საუკეთესო ავტომატურად მიიღებს მსოფლიოს უდიდესი სარაგბო ფორუმის საგზურს, ერთს კი რეპეშაჟით მოუწევს საუკეთესო ოცეულში მოსახვედრად გზის გაკვლევა. ორივე მეტოქეს, ესპანეთსა და პორტუგალიას, გაისად, პირველ წრეში „ბორჯღალოსნები“ თბილისში დაუპირისპირდებიან.

პორტუგალიის ნაკრები

პირველი ხაზი: ფრანსიშკუ ფერნანდესი (ბეზიე), ენტონი ალვეში (შალონი), ჟორჟე სეგურადო, ჟოაო კორეია (ორივე-დირეიტო), ბრუნო როჩა (აესისტექნიკო), ჟოზე დაკოსტა (აგრონომია), მაიკ ტაჯერო (მასი).

მეორე ხაზი: გონსალო უვა (ნარბონი), დავიდ დე რეისი (შატორენარი), ერიკ დოს სანტოსი (მონ დე მარსანი).

მესამე ხაზი: ფრასიშკუ დე სოუზა (კასკაისი), ფერნანდო ალმეიდა (აგრონომია), ტიაგო გირაუ (კდული), ჟაკ ლე რუ (ქოვენთრი), ლორან ბალანჟე (სენ ჟან დე ლუზი).

№9: ნუნო კოსტა (კდული), პედრო ლეალი (დირეიტო).

№10: სამუელ მარკესი (ალბი), ფრანსიშკუ მაგალიაეში (კდული).

№12-13: კარლ მურეი (კდული), ჟოზე ლიმა (ნარბონი), ალექსანდფრე ბაროში (როდეზი).

№11-14: გონსლაო ფორო (კდული), ფრანსიშკუ აპლეტონი (პო), ვილფრედ როდრიგესი (მასი).

№15: ანტონიო აგილარი (დირეიტო).

ესპანეთის ნაკრები

მეთიუ კუკი, ხავიერ ლორენსი (ორივე-ლა ვილა), ხუან ლაზარო, ხავიერ კანოსა (ორივე-მადრიდის ატლეტიკო), ანხელ ვასკესი (ცისნეროს), ხავირ ლორდანი, ქორი სმითი (ორივე-კახასოლი), ხუან ტუდელა, მატიას ტუდელა (ორდისია), პაბლო ფეიხო (ბერა ბერა), ხუან პინაგა (გერნიკა), ოიერ ესპონდალი (ერნანი), ჯეკ კარტერი, დანიელ ვაკუერო, სესარ სემპერე (სამივე-ელ სალვადორი), ხესუს ბლანკო, ჯოსე ბლანკო (ორივე-ვიგო), ხესუს მორენო (ლიმოჟი), ხესუს ნუნესი (ლილი), ბენატ ეჩებერი (ტიროსი), ადრიან აისტერანი, ენტონი პრადალი (ორივე-პერიგო), ლიონელ პარდო (ბეზიე), დავიდ ბარერა (ლანჟონი), ხოსე ატჩინსონი, ხაიმე ნავა (ორივე-ბურგ ან ბრესი), დავით გურგენიძე (არმია).

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

● კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

სხვა მატჩები

"მინესოტა", რომელიც 2004 წლის შემდეგ არ გასულა პლეი ოფში, "ორლანდოს" დამარცხებით პირველ ადგილზეა ჩრდილო-დასავლეთ დივიზიონში. ეს იმას ნიშნავს, რომ "მგლები" უსწრებენ დასავლეთის მოქმედ ჩემპიონ "ოკლაჰომას". გუშინდელ მატჩში "მინესოტამ" გადამწყვეტი აჩქარება მესამე მეოთხედის ბოლოსა და მეოთხე მეოთხედის დასაწყისში შეასრულა, როცა 28:6 გაქცევა მოაწყო. ამ სპურტის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი **გრეგ სტიმსმა** იყო, რომლის 12 ქულიდან ათი სწორედ ამ მონაკვეთზე მოდის. გამთამაშებელი **ლუკ რიდნური** კი არ აგრძნობინებს გუნდს **რიკი რუბიოს** არყოფნას. მცველმა 19 ქულა, 4 მოხსნა და 3 პასი მიითვალა.

■ ■ ■

რეგულარულის პირველი დღეების გმირმა **ჯეიმს ჰარდენმა** ამჯერად მოკრძალებული 15-ქულიანი წვლილი შეიტანა "ჰიუსტონის" საერთო მონაგაგრში, რამაც "რაკეტების მარცხი გამოიწვია. "დენვერმა" სტარტზე ზედიზედ სამი წაგების შემდეგ ორ დღეში ორი მატჩი მოიგო.

"ნაგეტსს" მართლაც კარგი მატჩი გამოუვიდა, რადგან აქამდე ვერავინ შეძლო ჰარდენის შეჩერება. აღსანიშნავია, რომ სტუმრების წარმატების მეორე ფაქტორი გახდა ფორვარდ **კენეტ ფარიდის** თამაში. ეს კალათბურთელი NCAA-ის რეკორდსმენია მოხსნების რაოდენობით. ის მეორე წელია, NBA-ში თამაშობს და ამ ლიგაში საუკეთესო მატჩი ჩაატარა – მის ანგარიშზე 16 ქულა და 16 მოხსნა იყო. სამჯერ მან ბოლო წუთზე შეტევაში მოხსნა ბურთი, როცა მასპინძლების დევნა კინაღამ წარმატებით დასრულდა.

■ ■ ■

სავარაუდოდ, "ლეიკერსს" ამ რთულ პერიოდში გამოადგებოდა თავისი ყოფილი მოთამაშე **შენონ ბრაუნი**, რომელიც ამჟამად "ფინიქსში" თამაშობს და გუშინ რვიდან ექვსი სამქულიანი ჩაუგდო "შარლოტს", თანაც - ყველა დასკვნით მეოთხედში. მაგრამ მხოლოდ ის არ ყოფილა მატჩის გმირი, რადგან **მაიკლ ბიზლიც** და **მარცინ გორტატიც** შესანიშნავად გამოიყურებოდნენ – მათ ჯამში 44 ქულა და 25 მოხსნა მიითვალეს. სწორედ ფარქვეშ უპირატესობის წყალობით მოიპოვეს არიზონელებმა საბოლოო უპირატესობა, მით უმეტეს, რომ ბოლო მეოთხედში შეტევაში აიღეს 10 მოხსნა. თუმცა ეს გასაკვირი არ არის, რადგან "ბობკეტსში" ბოლოსკენ ამინდს ქმნიდნენ "პატარები" – **სეშენსი, კიდგილკრსტი, უოკერი** და **გორდონი**.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ბიზლის თამაში. ასეთი შთამბეჭდავი კოლექცია: 21 ქულა, 15 მოხსნა და 7 პასი – "სანზის" ისტორიაში მხოლოდ **ბარკლის, მერიონსა** და **სტაუდმაიერს** ჰქონდათ.

შარლოტი-ფინიქსი 110:117

22:31, 24:29, 35:25, 29:32

შ: მალენსი (24+8 მოხსნა), სეშენსი (17+9 პასი), უოკერი (17+8 პასი), გორდონი (12+5 პასი), ტომასი (10).

ფ: ბრაუნი (24), გორტატი (23+10 მოხსნა+7 დაფარება), ბიზლი (21+15 მოხსნა+7 პასი+3 დაფარება), დრაგიჩი (16+8 პასი), დადლი (10), მორისი (10).

აზლანტა-ინდიანა 89:86

22:25, 29:25, 14:27, 24:9

ა: ჰორფორდი (16+9 მოხსნა+3 დაფარება), ტიგი (15+6 მოხსნა+6 პასი+3 ჩაჭრა), კორვერი (13), სმიტი (11+7 პასი), ფაჩულია (6+14 მოხსნა).

ი: უესტი (20+6 მოხსნა), ჰილი (20+5 პასი+4 ჩაჭრა), ჯორჯი (13+7 მოხსნა+4 ჩაჭრა).

მაიამი-ბრუკლინი 103:73

26:22, 24:19, 29:15, 24:17

მ: უეიდი (22+5 პასი), ჯეიმსი (20+12 მოხსნა+8 პასი), ლუისი (13).

ბ: უილიამსი (14), ბრუქსი (12), ჰემფრიზი (11+11 მოხსნა).

მილუოკი-მემფისი 90:108

22:23, 21:33, 25:25, 22:27

მილ: ჯენინგსი (19+5 პასი+4 ჩაჭრა), ელისი (15+7 პასი), სანდერსი (10+11 მოხსნა+3 დაფარება), დანლივი (10), დენიელსი (10).

მემ: რენდოლფი (18+13 მოხსნა), სპეიტსი (18+9 მოხსნა), გეი (17), გასოლი (14+9 მოხსნა+5 პასი), კონლი (13+12 პასი).

ნიუ ორლეანი-ფილადელ. 62:77

19:16, 18:20, 10:21, 15:20

ნ-ო: ამინუ (10+16 მოხსნა), ანდერსონი (9+10 მოხსნა).

ფ: ჰოლიდეი (14+12 პასი), ტერნერი (14+8 მოხსნა), ტ. იანგი (12+10 მოხსნა), ალენი (12), ჰოუზი (11+6 მოხსნა+3 დაფარება).

პოუსტონი-დენვერი 87:93

18:25, 23:31, 23:13, 23:24

ჰ: დელფინო (19), პატერსონი (18), ჰარდენი (15+5 ჩაჭრა), აშიქი (10+13 მოხსნა).

დ: ლოუსონი (21+8 პასი), ფარიდი (16+16 მოხსნა), ბრიუერი (14), გალინარი (13+10 მოხსნა), იგუოდალა (13+3 ჩაჭრა), მაკგი (12+6 მოხსნა).

მინესოტა-ორლანდო 90:75

25:12, 13:22, 30:21, 22:20

მ: რიდნური (19), უილიამსი (14+6 მოხსნა), სტიმსმა (12), პეკოვიჩი (11), ბადინგერი (10).

ო: რედიკი (16), აფლალო (12), ნიკოლსონი (11), მური (10).

გ. სტეიტი-კლივლენდი 106:96

37:21, 22:30, 26:23, 21:22

გ-ს: ლი (22+14 მოხსნა+6 პასი+3 ჩაჭრა), კამანი (21+6 პასი), ლენდრი (19+9 მოხსნა), ჰ. ბარნსი (14), ტომპსონი (13), ჯეკი (10+5 პასი).

კ: ირვინგი (28+6 მოხსნა+7 პასი), უეიტერსი (12+5 პასი), გიბსონი (12), ტომპსონი (11+10 მოხსნა), სემუელსი (11+7 მოხსნა).

გრიფინის დანკი

დაუმარცხებელი მხოლოდ ნიქსია

ლოს ანჯელესში ვიზიტის შემდეგ საშინელ ხასიათზე იყო „სან ანტონიოს" დამრიგებელი **გრეგ პოპოვიჩი**. გამოცდილ მწვრთნელს შეიძლება გავუგოთ - მისმა გუნდმა ზედიზედ ოთხი მოგებით დაიწყო ჩემპიონატი, რის შემდეგაც „კლიპერსთან" 22 ქულით წააგო. სტუმრებმა პირწმინდად დათმეს მატჩი პრაქტიკულად ყველა კომპონენტში - წააგეს ფარი (29:46), დაუშვეს 20 შეცდომა, ააცილეს 15 სამქულიანი (23-დან) და 8 საჯარიმო (24-დან).

ასეთი სტატისტიკით მატჩის ბოლომდე ინტრიგის შენარჩუნება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ **ტონი პარკერი** და **ტიმ დანკანი** იდეალურ თამაშს შემოგვთავაზებდნენ, მაგრამ ფრანგ გამთამაშებელს პასებისა და შეცდომების თითქმის ერთნაირი რაოდენობა ჰქონდა და მხოლოდ ოთხი ქულით დაასრულა შეხვედრა, დანკანი კი პრაქტიკულად მარტო იბრძოდა ფარქვეშ. ამიტომაც, პოპოვიჩს აღარ უბრძოლია და შეხვედრა რეზერვისტებს დაასრულებინა, რამაც ერთი საინტერესო მაჩვენებელი გამოინვია - „სპურსის" არც ერთ კალათბურთელს არ გაუტარებია მოედანზე 25 წუთზე მეტი.

მასპინძლების რიგებში კი სამმა კალათბურთელმა - **გრიფინმა, ჯორდანმა** და **პოლმა** - შეასრულა ორმაგი დუბლი. ამას დაემატა სათადარიგოების - **ბლედსოუს, კროუფორდისა** და **ბარნსის** კარგი თამაში და ტყორცნების რეალიზაციის 55 პროცენტი და მივიღეთ სრულიად კანონზომიერი განადგურება.

რაც შეეხება ინტრიგას, ის „სტეიპლს ცენტრის" მოედანზე მესამე მეოთხედის შუაში გაქრა, როცა „კლიპერსი" 11:3 გაიქცა. ამ მეოთხედის ბოლოს „სპურსი" უკვე 20 ქულით იყო ჩამორჩენილი.

ამ მატჩის შემდეგ ჩემპიონატში მხოლოდ ერთი გუნდია დაუმარცხებელი - „ნიუ იორკ ნიქსი".

კლიპერსი-სან ანტონიო 106:84

22:16, 25:25, 35:21, 24:22

კ: გრიფინი (22+10 მოხსნა), ჯორდანი (20+11 მოხსნა), ბლედსოუ (15+5 პასი), ბარნსი (12+3 ჩაჭრა), გრინი (11), პოლი (10+12 პასი), კროუფორდი (10).

ს-ა: გრინი (12), დანკანი (10+6 მოხსნა).

დეტროიტისა და ვაშინგტონის ნულები



გრეგ მონრო

იმ დროს, როცა დასავლეთში ყველა გუნდმა მოახერხა გამარჯვება, აღმოსავლეთში ორი გუნდია ისეთი, რომელსაც მოგებათა გრაფაში "ნული" უწერია. თუმცა გუშინ, "ვაშინგტონსა" და "დეტროიტს" ჰქონდათ ცუდი სერიის შეწყვეტის შანსი, მაგრამ არ გამოუვიდათ. დედაქალაქურმა კლუბმა, რომელმაც ოთხი დღით ადრე შინ წააგო "ბოსტონთან", ამჯერად სტუმრად ოვერტაიმამდე მიაღწია. თუმცა დამატებით დროში მოგების შანსი არ ჰქონდა, რადგან თამაშიდან ნასროლი 10 ტყორცნიდან მხოლოდ სამჯერ მიაღწია მიზანს. ოვერტაიმში გაიბრწყინა "სელტიქსის" ცენტრმა **ბრენდონ ბასმა** – მან ზედიზედ ხუთი ქულა მოუტანა თავის გუნდს და მატჩის ნამდვილი გმირი გახდა. არადა, ბოსტონური "დიდი ტრიოს" წევრებმა ორმაგი დუბლები შეასრულეს: **პოლ პირსს** 15 ქულა და 10 მოხსნა ჰქონდა, **რაჟონ რონდოს** – 18 ქულა და 14 პასი, **კევინ გარნეტს** – 20 ქულა და 13 მოხსნა.

■ ■ ■

თუ "ვაშინგტონის" წაგებათა სერია სამ მატჩს უდრის, "დეტროიტი" აგერ უკვე ხუთი შეხვედრაა, ვერ ახერხებს გამარჯვებას. "საკრამენტოსთან" მატჩის ბოლო მეოთხედში "პისტონზი" რამდენჯერმე ერთ სროლამდე მიუახლოვდა მეტოქეს, მაგრამ კალიფორნიელები ყოველ ჯერზე მინი-სპურტით პასუხობდნენ სტუმრების მონდომებას. რა თქმა უნდა, "დეტროიტის" წაგება ყველაზე მეტად **გრეგ მონროს** დაანაღვლიანებდა, რადგან მან ამ სეზონის პირველი სამმაგი დუბლი შეასრულა (ეს მისთვისაც პირველი ტრიპლ-დაბლი იყო კარიერაში): 21 ქულა, 12 მოხსნა, 10 პასი. ამასთან, კარიერაში სარეკორდო მეათე გადაცემა ცენტრმა სირენამდე 23 წამით ადრე მიითვალა და **ბრენდონ ნაითმა** ორ ქულამდე შეამცირა სხვაობა – 100:102. მაგრამ მეტის გაკეთება დეტროიტელებმა ვერ შეძლეს და წააგეს "საკრამენტოსთან", რომელიც მანამდე ზედიზედ ხუთჯერ ჰყავდათ დამარცხებული.

ბოსტონი-ვაშინგტონი 100:94 (ო)

21:16, 16:26, 29:16, 22:30, 12:6

ბ: გარნეტი (20+13 მოხსნა), რონდო (18+14 პასი+3 ჩაჭრა), ტერი (16), პირსი (15+10 მოხსნა+4 ჩაჭრა), ბასი (11+7 მოხსნა).

ვ: სერაფინი (16+9 მოხსნა), უებსტერი (16+6 მოხსნა), ბილი (16), პრაისი (15+7 პასი), სინგლტონი (14+3 ჩაჭრა).

საკრამენტო-დეტროიტი 105:103

26:27, 29:19, 24:25, 26:32

ს: კაზინსი (21+11 მოხსნა), ტ. ევანსი (15+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), ტომასი (15), ტომპსონი (13), ფრედეტი (12), ბრუქსი (11), ტორნტონი (11).

დ: მონრო (21+12 მოხსნა+11 პასი), ნაითი (21), ბინუმი (14), სინგლერი (12), მაქსიელი (11+6 მოხსნა), პრინსი (10).



მეჰმეთ ოქური

ოქური სულ ნავიდა

33 წლის თურქმა ცენტრმა **მეჰმეთ ოქურმა** ოფიციალურად გამოაცხადა კარიერის დასრულების შესახებ. ეს კალათბურთელი ნელს "ტურკ ტელეკომში" თამაშობდა, მანამდე კი ცხრა წელი გაატარა NBA-ში (634 მატჩი, მათ შორის – 460 სასტარტო ხუთეულში) და საშუალოდ მატჩში 13.5 ქულასა და 7.0 მოხსნას აგროვებდა. თურქეთის ნაკრების მოთამაშეს დიდი სპორტიდან წასვლა ფეხის ქრონიკულმა ტრავმამ აიძულა.

"მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს ოჯახს, მწვრთნელებსა და პარტნიორებს, რომლებიც მუდმივად ჩემ გვერდით იყვნენ მთელი კარიერის განმავლობაში. ასევე განსაკუთრებული მადლობა გულშემატკივრებს. მათ მხარდაჭერას ყოველთვის ვგრძნობდი", - განაცხადა თურქმა ცენტრმა.

ლეიკერსი: 1-4!

არაფერი შველის „ლეიკერსს". **მაიკ ბრაუნის** გუნდმა ხუთ მატჩში მეოთხე შეხვედრა წააგო. ამჯერად, კალიფორნიელებმა ვერაფერი გააწყვეს სტუმრად „იუტას" წინააღმდეგ. მთელი 48 წუთის განმავლობაში, „ლეიკერსი" ერთხელაც ვერ გავიდა წინ, წააგო მოხსნებში (37:48) და 30 პერსონალური მიიღო. ამას ემატება 23-დან 19 აცილებული სამქულიანი, 14 გაფუჭებული საჯარიმო (46-დან) და 19 დაკარგვა. ასეთი მონაცემებით გამარჯვებაზე ფიქრი უაზრობა იყო. მით უმეტეს, რომ სათადარიგოთა სკამზე არ აღმოჩნდა კალათბურთელი, რომელიც გუნდს წინ გაუძღვებოდა. რა თქმა უნდა დასაფასებელია ფარქვეშ **ჰილის** კარგი თამაში (23 წუთში 12 მოხსნა), მაგრამ გუნდის შედეგიანობას ეს ვერ უშველიდა. ამ მხრივ, „იუტას" ყველაფერი წესრიგში ჰქონდა - მარტო **ფოიემ** ჩააგდო ხუთი შორეული ტყორცნა.

საინტერესოა, რომ დასავლეთ კონფერენციაში ყველა გუნდს მინიმუმ ორი მოგება აქვს მოპოვებული. ყველას, „ლეიკერსის" გარდა.

■ ■ ■

„ლეიკერსისგან" განსხვავებით, კარგად გამოიყურება „დალასი", რომელიც კვლავაც **დირკ ნოვიცკის** გარეშე თამაშობს. ამჯერად, ლეგენდარული გერმანელის არყოფნაში „მავერიქსის" ლიდერობა იტვირთა გერმანიის ნაკრების ცენტრმა **კრის კამანმა**. 30 წლის კალათბურთელმა ნამდვილი გაკვეთილი ჩაუტარა ლიტვის ნაკრების 20 წლის ცენტრ **იონას ვალანჩუნასს**. კამანმა 33 წუთი გაატარა მოედანზე და 22 ქულა დააგროვა, ვალანჩუნასმა კი მხოლოდ 10 წუთი ითამაშა და ოთხი ქულა მოიპოვა.

„დალასი" ამტკიცებს, რომ თავისი მთავარი ვარსკვლავის გარეშეც შეუძლია წარმატების მიღწევა. სხვათა შორის, „ტორონტოს" წინააღმდეგ „მავერიქსს" **შონ მერიონიც** და **ელტონ ბრენდიც** აკლდნენ. და ამის მიუხედავად, თითქმის მთელი მატჩი კარლაილის გუნდი ორნიშნა უპირატესობით ლიდერობდა.

იუტა-ლეიკერსი 95:86

25:17, 26:24, 14:16, 30:29

ი: ჯეფერსონი (18+10 მოხსნა+4 ჩაჭრა), ფოიე (17), მო უილიამსი (16+7 პასი), მარვ. უილიამსი (11).

ლ: ბრაიანტი (29), ჰოვარდი (19+9 მოხსნა), უორლდ პისი (15+7 მოხსნა), ჰილი (4+12 მოხსნა).

დალასი-ტორონტო 109:104

36:24, 25:26, 21:24, 27:30

დ: კამანი (22+8 მოხსნა), მაიო (22+6 პასი), კარტერი (17), კოლისონი (15), რაიტი (12+7 მოხსნა).

ტ: ბარნიანი (25+9 მოხსნა), დეროზანი (24+6 მოხსნა+7 პასი), ჯონსონი (18+11 მოხსნა), ანდერსონი (13), კალდერონი (11+6 პასი).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მძლეოსნობა

ბოლტი ჭანჭიკებისგან

გერმანელმა მუსიკოსმა და სკულპტორმა **ვიტა დიდელ კლევერმა** პლანეტის ყველაზე სწრაფი ადამიანის, 26 წლის იამაიკელი **უსაინ ბოლტის** უკვდავყოფა გადაწყვიტა. სკულპტურა, რომელიც თანამედროვე გერმანული ხელოვნების წარმომადგენელმა შექმნა, მეტალის უამრავი დეტალის ნაზავს წარმოადგენს. შედეგად წარმოიშვება ექვსგზის ოლიმპიური ჩემპიონის საფირმო პოზა. ასეთი პროექტის იდეა კლევერს 2009 წელს გაუჩნდა, როცა ბოლტმა ბერლინში მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო. მაგრამ სკულპტორმა მხოლოდ ახლა შეძლო თავისი ნაწარმოების წარმოდგენა, რადგან ორი წელი დასჭირდა საჭირო მასალის შესაგროვებლად.

სკულპტურას ჰქვია "ბოლტი ჭანჭიკებისგან". ის მართლაც მთლიანად ჭანჭიკებისგან არის შექმნილი. ეს ხელოვნების ნიმუში ბერლინში დადგეს.

"ბოლტი უნიკალური სპრინტერია, ერთ-ერთი უდიადესი ისტორიაში, - ამბობს 51 წლის კლევერი. - ძალიან ვამაყობ იმით, რომ კავშირი მაქვს იამაიკასთან - ჩემი მეუღლე ამ ქვეყნიდანაა. ძალიან მინდა, რომ ჩემი სკულპტურა თავის კანონიერ ადგილას დადგან, ანუ იამაიკაში. ჩემთვის ეს დიდი პატივი იქნება".

● ველოსპორტი



ბრედლი უიგინსი

ბრედლის მანქანა დაეჯახა

ველორგოლაში წლევანდელი სეზონის გმირი, ტურ დე ფრანსისა და ლონდონის ოლიმპიადის გამარჯვებული **ბრედლი უიგინსი** ავტოსაგზაო ავარიის გამო საავადმყოფოში მოხვდა. ეს ინფორმაცია სააგენტო "ფრანს-პრესმა" პოლიციაზე დაყრდნობით გაავრცელა.

უიგინსი ლანკაშირის საგრაფოში, საკუთარ სახლთან ახლოს ველოსიპედით მოძრაობდა, როცა მას ბენზინგასამართი სადგურიდან გამოსული ავტომობილი - Vauxhall Astra დაეჯახა, რომელსაც ადგილობრივი ქალი მძღოლი მართავდა.

პოლიციის ოფიციალური ინფორმაციით, ველომრბოლის ტრავმები, სიცოცხლისთვის საშიში არ არის, თუმცა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ უფრო დეტალური ცნობების მიწოდებისგან თავი შეიკავეს. თავის მხრივ, ჟურნალისტებმა თვითმხილველთა ჩვენებებზე დაყრდნობით დაწერეს, რომ უიგინსმა, სავარაუდოდ, რამდენიმე ნეკნი გაიტეხა.

2012 წლის აგვისტოში, მას შემდეგ, რაც ლონდონის ოლიმპიადის მსვლელობისას ერთ-ერთი ველომრბოლი მანქანის საბურავების ქვეშ მოყვა და დაიღუპა, უიგინსმა მძღოლებს, ველომოყვარულებსა და ფეხით მოსიარულეებს მოუწოდა, რომ ერთმანეთის მიმართ პატივისცემა გამოიჩინონ. გარდა ამისა, ის მაშინ გამოვიდა წინადადებით, რომ ყველა ველოსიპედისტისთვის სავალდებულო უნდა იყოს ჩაფხუტის ტარება.

ერთი საინტერესო დეტალი ის არის, რომ გუშინდელ ავარიამდე რამდენიმე დღით ადრე, უიგინსმა გაიპარსა თავისი ბედნიერი ბაკენბარდები, რომლებმაც, თავად ველომრბოლის თქმით, დიდი როლი ითამაშეს მის წარმატებაში.

ბრედლი უიგინსი, რომელიც "თიმ სქაის" წევრია, 2012 წელს გახდა პირველი ბრიტანელი ველომრბოლი, რომელმაც ტურ დე ფრანსის მოგება შეძლო. ის აგრეთვე გახლავთ ოთხგზის ოლიმპიური და მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი.

● ავტომოტოსპორტი

სარბოლო უქმეების წინ

უახლოეს უქმეებზე ერთბაშად ორ სარბოლო სერიაში სრულდება სეზონი. მოტოგრანპრიში ყველაფერი გარკვეულია: ჩემპიონი **ხორხე ლორენსო** გახდა, ასევე გაინაღდეს მეორე და მესამე ადგილები **დანი პედროსამ** და **კეისი სტოუნერმა**, რომელიც კვირის რბოლის შემდეგ ასრულებს კარიერას. გარდა ამისა, ვალენსიას ტრასაზე უკანასკნელად გამოვა "დუკატის" მოტოციკლით იტალიელი **ვალენტინო როსი**, რომელიც მომავალი სეზონიდან "იამაჰაში" გადავა.

რალის სერიაშიც ცნობილია ჩემპიონი. ბოლო წლების საუკეთესო რალისტი **სებასტიან ლოები** ეთხოვება "სიტროენს", ესპანეთის ეტაპის მთავარი ინტრიგა კი შემდეგში მდგომარეობს: შეძლებს თუ არა **მადს ოსტბერგი** გენერალურ კლასიფიკაციაში მესამე ადგილის შენარჩუნებასა და საბოლოოდ, **იარი-მატი ლატვალასა** და **პეტერ სოლბერგის** უკან ჩამოტოვებას?

მოპოგრანპრი

ვალენსიას გრანპრი

ჩატარების ადგილი - ვალენსია, ესპანეთი
წრის სიგრძე - 4 005 მ
საუკეთესო წრე - 1:32,582 (სტოუნერი, 2008)

საერთო ჩათვლა

1. ლორენსო (იამაჰა) - 350 ქულა
2. პედროსა (ჰონდა) - 307
3. სტოუნერი (ჰონდა) - 238
4. დოვიციოზო (იამაჰა) - 208
5. ბაუტისტა (ჰონდა) - 165
6. როსი (დუკატი) - 157
7. კრატჩლოუ (იამაჰა) - 151
8. ბრადლი (ჰონდა) - 135

განრიგი

9 ნოემბერი, 13:10 - I პრაქტიკა
9 ნოემბერი, 17:10 - II პრაქტიკა
10 ნოემბერი, 13:10 - III პრაქტიკა
10 ნოემბერი, 16:55 - კვალიფიკაცია
11 ნოემბერი, 17:00 - რბოლა

რალი

ესპანეთი

შტაბი - სალოუ
საფარი - ასფალტი, ღორღი
სპეცმონაკვეთების რაოდენობა - 18
დისტანცია - 405,46 კმ

საერთო ჩათვლა

1. ლოები (სიტროენი) - 244 ქულა
2. ჰირვონენი (სიტროენი) - 198
3. ოსტბერგი (ფორდი) - 137
4. ლატვალა (ფორდი) - 133
5. პ. სოლბერგი (სიტროენი) - 124
6. ნოვიკოვი (ფორდი) - 87
7. ნოვილი (სიტროენი) - 53
8. ტანაკი (ფორდი) - 52

● სნოუბორდი

ჩემპიონს უმკურნალებენ

სნოუბორდში ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ამერიკელმა **შონ უაიტმა**, რომელიც ქალაქ ნეშვილის ერთ-ერთ სასტუმროში ატეხილ დებოშშია დადანაშაულებული, გამოძიებასთან გარიგება დადო.

როგორც ნეშვილის საოლქო პროკურატურის წარმომადგენლები ამბობენ, შონ რაიტმა პირობა დადო, რომ ალკოჰოლურ დამოკიდებულებაზე მკურნალობის კურსს გაივლის, აანაზღაურებს სასტუმროსთვის მიყენებულ ზარალს და 24 საათი საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმით იქნება დაკავებული. თუ უაიტი ამ სამ პირობას შეასრულებს, მას მოუხსნიან ვანდალიზმის ბრალდებას, - აცხადებენ პროკურატურის წარმომადგენლები.

შონ უაიტი

შეგახსენებთ, რომ უაიტმა 16 სექტემბერს, ღამით მოაწყო არეულობა ნეშვილის Loews Vanderbilt Hotel-ში. კერძოდ, მან სახანძრო სიგნალიზაცია ჩართო, რის გამოც სასტუმროში მყოფი ყველა ადამიანის ევაკუაცია გახდა საჭირო. გარდა ამისა, იტყობინებოდნენ, რომ სპორტსმენმა დააზიანა სასტუმროს კუთვნილი ქონება, ეჩხუბა ერთ-ერთ თანამშრომელს და ინციდენტის ადგილიდან გაქცევა სცადა.

გაქცევის დროს ის სასტუმროს ღობიდან ჩამოვარდა და დაზიანებები მიიღო, რის გამოც საავადმყოფოში აღმოჩნდა. იქიდან გამოწერის შემდეგ, უაიტი პოლიციამ დააკავა და ბრალი წაუყენა ვანდალიზმსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე ნასვამ მდგომარეობაში ყოფნისთვის.

შონ უაიტი ყველაზე პოპულარული სნოუბორდისტია მსოფლიოში. ის 2006 და 2010 წლებში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა დისციპლინა – "ჰალფ-პაიპში". სპორტსმენს გააჩნია საკუთარი წარმოების ტანსაცმლის ხაზი, ვიდეოთამაშები და ფილმები სნოუბორდინგზე.

● კრივი



დევიდ ჰეი

დევიდ ჰეი – ჯუნგლების მეფე

ბრიტანელმა მოკრივე **დევიდ ჰეიმ** გადაწყვიტა ახალ ამპლუაში სცადოს ბედი. სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა დაადასტურა მონაწილეობა სატელევიზიო რეალითი-შოუში, რომლის სცენარი ძალიან ჰგავს პოპულარულ შოუს – "უკანასკნელი გმირი".

რეალითი-შოუს მონაწილეები ჯუნგლებში რამდენიმე კვირა ნორმალური საცხოვრებელი პირობების გარეშე იარსებებენ, გამარჯვებული კი მიიღებს "ჯუნგლების მეფის" სტატუსს. შოუს ბრიტანული არხი ITV გადაიღებს, მოქმედება კი ავსტრალიის ჯუნგლებში განვითარდება.

აღსანიშნავია, რომ ჰეის გვერდით ავსტრალიაში იცხოვრებს დართსში მსოფლიოს ჩემპიონი **ერიკ ბრისტოუ**.

● ჰოკეი

კიდევ ერთი დიდი შეხვედრა

გუშინ გაგრძელდა მოლაპარაკებების პროცესი ჰოკეის ეროვნულ ლიგასა და მოთამაშეთა პროფკავშირებს შორის - მხარეები აქტიურად ცდილობენ ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებაზე შეთანხმებასა და ლოკაუტის დასრულებას.

ბოლო ორ დღეში მეორე შეხვედრაც საკმაოდ ხანგრძლივი აღმოჩნდა - მოლაპარაკება ხუთი საათი გაგრძელდა. როგორც ჟურნალისტებმა გაარკვიეს, ლაპარაკი იყო კონტრაქტების მაქსიმალურ ვადებსა და მოთამაშეთა თავისუფალი აგენტების ბაზარზე გასვლის დროზე.

კლუბების მფლობელებმა და მოთამაშეებმა ისევ აარიდეს თავი პრესასთან ურთიერთობას და ახალი შეხვედრა პარასკევისთვის დანიშნეს.

საინტერესოა, რომ ბოლო ორი დღის განმავლობაში მხარეებმა იმაზე მეტი დრო გაატარეს მოლაპარაკების მაგიდასთან, ვიდრე ლოკაუტის დაწყებიდან დღემდე. არადა, გაფიცვა უკვე თითქმის ორი თვეა მიმდინარეობს.

ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ჰოკეის ეროვნული ლიგა აპირებს, უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში დაასრულოს ლოკაუტი და სეზონი პირველ დეკემბერს დაიწყოს, თუმცა ჯერ ადრეა ლაპარაკი მოლაპარაკებების პროცესში პროგრესის შესახებ.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ჩოგბურთი. ATP. შემაჯამებელი ტურნირი

ნოვაკისა და ენდის მორიგი თრილერი ...

ნოვაკ ჯოკოვიჩი

წლის შემაჯამებელი ტურნირის მესამე სათამაშო დღეს, მთავარი მატჩი **ენდი მიურეისა** და **ნოვაკ ჯოკოვიჩის** მორიგი დაპირისპირება იყო. ბოლო დროს ამ ჩოგბურთელების ყოველი მატჩი ნამდვილ შოუს ემსგავსება და გამონაკლისი არც ეს შეხვედრა აღმოჩნდა.

წელს ენდისა და ნოვაკს უკვე მეშვიდედ მოუწიათ შეხვედრამ და თითქმის ყველა თამაში დაძაბულ ბრძოლაში მიდიოდა, სამი მატჩი კი აბსოლუტურად თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. სერბმა წლის დასაწყისში ხუთ პარტიაში მოიგო ავსტრალიის ღიაზე, შემდეგ აშშ-ის ღიაზე მიურეიმ ასევე ხუთ სეტში გაიმარჯვა, ცოტა ხნის წინ კი შანხაიში ბრიტანელმა ხუთი მატჩ-ბოლი მოიგერია და დამარცხდა.

ნოვაკმა ცუდად დაიწყო მატჩი და მაშინვე დათმო საკუთარი მოწოდება, რაც საკმარისი აღმოჩნდა სეტის წასაგებად. მიურეი დამაჯერებლად მოქმედებდა და შესამჩნევ უპირატესობას ფლობდა. საკუთარ ხუთ გეიმში ენდიმ მხოლოდ სამი ქულა დათმო, ასე რომ, ჯოკოვიჩი ახლოსაც არ ყოფილა ბრეიკ-პოინტთან. მოწოდება თითქმის მთელი მატჩი შესანიშნავად მუშაობდა და ბრიტანელს ჯამში ცხრა ეისი მოუტანა. მატჩის გადამწყვეტი მომენტი გახდა მეორე სეტის მესამე გეიმი. მიურეის ნოვაკის მოწოდებაზე 30:0 უნდა წაეყვანა ანგარიში, მაგრამ მსაჯებმა სერბის დარტყმის შემდეგ აუტი ვერ შეამჩნიეს. მასპინძელმა ისედაც მიაღწია ბრეიკ-პოინტამდე და სწორი მსაჯობის შემთხვევაში, ეს ბურთი მას ბრეიკს მოუტანდა, მაგრამ ჯოკოვიჩი გადარჩა და დამაჯერებლობა იგრძნო. მან გაზარდა ტემპი და უმატა სტაბილურობას, ენდიმ კი შეცდომების დაშვება დაიწყო.

პარტიის შუაში ნოვაკმა გამოიყენა თავისი პირველი შანსი მიღებაზე და შემდეგ დამაჯერებლად აიღო თავისი ორი გეიმი. ბრიტანელმა გააგრძელა მესამე სეტში მეტოქის დახმარება. ჯოკოვიჩი სიტუაციის სრული ბატონ-პატრონი გახდა და თამაში დამაჯერებლად მიჰყავდა. მიურეიმ დიდი ბრძოლის შემდეგ გადაარჩინა საკუთარი გეიმები 1:3-ზე და 2:4-ზე. როგორც აღმოჩნდა, ადგილობრივი პუბლიკის კერპი ტყუილად არ იბრძოდა თითქმის გამოუვალ სიტუაციაში. ნოვაკმა ძალიან წარუმატებლად ითამაშა თავისი გეიმი და სამი შეცდომა დაუშვა, რითაც მეტოქეს საპასუხო ბრეიკი გააკეთებინა. უფრო მეტიც, მატჩის ბედი თითქმის ბრიტანელის სასარგებლოდ შემობრუნდა – მას ორი ბურთი აკლდა საბოლოო გამარჯვებამდე და ორივე გათამაშებაში შანსი ჰქონდა, მაგრამ სერბმა გაძლო და შემდეგ ბრეიკით დაწინაურდა – 6:5.

მესამე სეტის ბოლოს აბსოლუტურად არაპროგნოზირებადი ჩოგბურთი წავიდა – ინიციატივა ხელიდან ხელში გადადიოდა. მიურეის ჰქონდა პარტიის ტაი-ბრეიკზე გადაყვანის შანსი, მაგრამ ორმაგი ბრეიკ-პოინტი გაუშვა ხელიდან – 4:6, 6:3, 7:5 სერბის სასარგებლოდ.

ამ გამარჯვებას ნოვაკი ნახევარფინალში გაყავდა იმ შემთხვევაში, თუ დღის მეორე მატჩში **ჟო-ვილფრიდ ცონგა ტომაშ ბერდიხს** დაამარცხებდა. ასეთ შემთხვევაში მესამე ტურში ცონგა და მიურეი ერთგვარ მეოთხედფინალს ითამაშებდნენ.

პირველ სეტში დიდი ხანი დაზვერვა მიდიოდა. პირველი ბრეიკ-პოინტი ბერდიხმა მეშვიდე გეიმში მიიღო, მაგრამ ჰაერიდან იოლი დარტყმა გააფუჭა. ახალი შანსი მან სეტის ბოლოს მოიპოვა და ამჯერად ის ხელიდან არ გაუშვა. საერთო ჯამში კი თანაბარი თამაში მიდიოდა – ორივენი აქტიურად მოქმედებდნენ და საკმაოდ ბევრს ცდებოდნენ, თუმცა ოდნავ უფრო უკეთ ჩეხი გამოიყურებოდა.

მეორე პარტიაში ცონგამ სწორი დასკვნები გააკეთა და მეტოქეზე ზეწოლა გააძლიერა. მას გაცილებით უკეთ გამოსდიოდა მიღებაზე თამაში და ამას მოჰყვა ლოგიკური ბრეიკი. მართალია, ფრანგმა სეტზე ჩაწოდებისას თავისი გულშემატკივრები ოდნავ აანერვიულა, მაგრამ საქმე ბოლომდე მაინც მიიყვანა.

მატჩის ბედის მესამე სეტში გადაწყვეტა აბსოლუტურად სამართლიანი დასასრული იყო – ბოლო სეტის სტარტზე ორივეს 25-25 "ვინერსი" და 24-24 უნებლიე შეცდომა ჰქონდა. ამიტომაც რთული იყო მესამე სეტისთვის პროგნოზის გაკეთება. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ ცონგამ, რომელსაც დებიუტში ორმაგი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, ჩააგდო პარტია. ბერდიხმა კი პირიქით, ძალიან თანაბრად ითამაშა და მესამე სეტში ბრძოლა არ შედგა – 7:5, 3:6, 6:1.

ასე რომ, A ჯგუფში ინტრიგა უკიდურესად გამწვავდა: არავის აქვს გარანტირებული ჯგუფიდან გასვლა და არავის დაუკარგავს ნახევარფინალში მოხვედრის შანსი. რა თქმა უნდა, ჯოკოვიჩს ყველაზე კარგი პერსპექტივა აქვს, ცონგას - ყველაზე ნაკლები, მაგრამ არსებობს სხვადასხვა ვარიანტი. 50-პროცენტიანი მათემატიკური შანსი არსებობს, რომ ყველაფერი სეტებისა და თუნდაც გეიმების შეფარდებამ გადაწყვიტოს.

A ჯგუფი

ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)-ენდი მიურეი (ბრიტ, 3) 4:6, 6:3, 7:5; **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 5)**-ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 7) 7:5, 3:6, 6:1.

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ევროპის ლიგა

ანჟი-ლივერპული	1:0
უდინეზე-იანგ ბოიზი	2:3
აკადემიკა-ატლეტიკო	2:0
პლზენი-ჰაპოელი (თ-ა)	4:0
ფენერბაჰჩე-აელ	2:0
მარსელი-ბორუსია (მ)	2:2
ბორდო-მარიტიმუ	1:0
ბრიუგე-ნიუკასლი	2:2
კოპენჰაგენი-შტუტგარტი	0:2
მიოლდე-სტიაუა	1:2
აიკ-ეინდჰოვენი	1:0
ნაპოლი-დნიპრო	4:2
ბაზელი-ვიდეოტონი	1:0
სპორტინგი-გენკი	1:1
ნეფთჩი-რუბინი	0:1
პარტიზანი-ინტერი	1:3
ბილბაო-ლიონი	2:3
ირონი-სპარტა	1:1
ლაციო-პანათინაიკოსი	3:0
ტოტენჰემი-მარიბორი	3:1
ლევერკუზენი-რაპიდი	3:0
მეტალისტი-რუსენბორგი	3:1
ტვენტე-ლევანტე	0:0
ჰანოვერი-ჰელსინგბორგი	3:2

დანის თასი

1/8 ფინალი

ესბერგი-ოლბორგი	0:0 პენ. 1:0

ინგლისის ფასი

ბიზნესმენები

ბაირამი-ქართალი	1:0
პენდიძი-ელაზიგი	3:2

უელსი

ლიგის თასი

კარმარტენი-ლანელი	2:1
ტნს-ეირბასი	5:2

ფუჭსალი

მსოფლიოს ჩემპიონატი

ირანი-პანამა	4:3
მაროკო-ესპანეთი	1:5
ავსტრალია-არგენტინა	1:7
მექსიკა-იტალია	2:5

კალათბურთი

ევროლიგა

ცსკა-ბარსელონა	60:81
ლ. რიტასი-ბეშიქთაში	67:73
შალონი-უნიკახა	78:88
ალბა-მაკაბი	76:78
კანტუ-ფენერბაჰჩე	82:58
მილანი-ოლიმპიაკოსი	71:84

ჩოგბურთი

ATP. ლონდონი

ფედერერი-ფერერი	6:4, 7:6
დელ პოტრო-ტიპსარევიჩი	6:0, 6:4

TV პროგრამა

9 ნოემბერი. პარასკევი

GMG-ფეხბურთი

10:00 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. უდინეზე-ოლდ ბოიზი.
12:00 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ნაპოლი-დნეპრი.
14:00 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. მარსელი-ბორუსია (მ).
16:00 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. პარტიზანი-ინტერი.
18:00 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ბილბაო-ლიონი.
20:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOT-BRAZIL.
20:30 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
21:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
22:30 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
23:30 გერმანიის ჩემპიონატი. XI ტური. მაინცი-ნიურნბერგი (LIVE).
01:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOT-BALL MONDIAL.

GMG-სპორტი 1

10:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ნიუკასლი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ოკლაჰომა.
15:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ჰერაკლესი.
17:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ნორთჰემპტონი-გლაზგო.
19:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სუონსი-ჩელსი.
21:00 მსოფლიო კალათბურთის ლიდერები. ლარი ბერდი. II ნაწილი.
22:00 NBA ACTION.
23:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
23:45 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ოკლაჰომა.

GMG-სპორტი 2

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ბრიტანეთი.
12:30 სპორტ-NEWS.
13:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. პარიზი. საფრანგეთი.
16:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. კლიპერსი-მემფისი.
18:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
20:30 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
21:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. პარიზი. საფრანგეთი.
00:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).

ამინდის პროგნოზი

თბილისი	13	18	(მცირე წვიმა)
ქუთაისი	14	21	(მზე)
ბათუმი	13	22	(მზე)
ფოთი	15	22	(მზე)
ზუგდიდი	12	20	(წვიმა)
გორი	9	19	(წვიმა)
თელავი	12	18	(მცირე წვიმა)
სიღნაღი	11	18	(მცირე წვიმა)
ბაკურიანი	4	15	(მზე)
ბორჯომი	6	19	(მზე)
მესტია	4	12	(წვიმა)

ვალუტის კურსი

1 ევრო	2.1160
1 ამერიკული დოლარი	1.6613
1 ბრიტანული ფუნტი	2.6486
100 რუსული რუბლი	5.2715

დოპინგი

რუს ოლიმპიელს მედალს ართმევენ

ისევ მომრავლდა დოპინგ-სკანდალები რუსი სპორტსმენების მონაწილეობით. ამჯერად, სკანდალში გაეხვია ქალებს შორის ბადროს ტყორცნაში ლონდონის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი **დარია პიშჩალნიკოვა**.

საინტერესოა, რომ ეს სპორტსმენი ადრეც იყო დისკვალიფიცირებული. მძლეოსნობის მოყვარულებს ახსოვთ 2008 წელს მომხდარი სკანდალი, როცა პეკინის ოლიმპიადის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე დოპინგის მიღებაში გამოიჭირეს ერთბაშად შვიდი რუსი მძლეოსანი ქალი. ერთ-ერთი სწორედ პიშჩალნიკოვა იყო. ასე რომ, ახლა, 27 წლის რუსს სამუდამო დისკვალიფიკაცია ელის.

პიშჩალნიკოვას დადებითი დოპინგ-ტესტის შესახებ ინფორმაციას რამდენიმე სანდო წყარო ადასტურებს, თუმცა ოფიციალური ცნობა არ არსებობს. მძლეოსანმა დადებითი დოპინგ-სინჯი ლონდონის ოლიმპიადამდე დაახლოებით ორი თვით ადრე ჩააბარა. ამასთან, პირველმა ანალიზმა ორგანიზმში აკრძალული პრეპარატის არსებობა არ დაადასტურა, რამაც პიშჩალნიკოვას ოლიმპიადაზე გამოსვლის საშუალება მისცა. მაგრამ, უკვე თამაშების შემდეგ, მძლეოსნის სინჯი ხელმეორედ შეამოწმეს (ამჯერად რუსეთის ფარგლებს გარეთ, სავარაუდოდ, ქალაქ კიოლნის ლაბორატორიაში) და სპეციალისტებმა აღმოაჩინეს ანაბოლური სტეროიდის კვალი.

IAAF-ის წესების თანახმად, დოპინგის ხელმეორედ გამოყენება რვაწლიანი დისკვალიფიკაციით ისჯება. წინა დისკვალიფიკაციის სკანდალური გარემოებების გათვალისწინებით, საერთაშორისო ფედერაცია სწორედ მაქსიმალური სასჯელის გამოტანას ეცდება.

ამ სიტუაციაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რა თარიღიდან დაიწყებენ პიშჩალნიკოვას დისკვალიფიკაციის ათვლას და მისი შედეგების გაუქმებას. თუ ეს იქნება სინჯის აღების დღე, მაშინ სპორტსმენი დაკარგავს ლონდონის თამაშების ვერცხლის მედალს. თუ ეს ასე მოხდა, მეორე ადგილზე გადავა ჩინელი **ლი იანფენი**, ხოლო ბრინჯაოს მედალს მიიღებს კუბელი **იარელის ბარიოსი**, რომელმაც ლონდონში მეოთხე ადგილი დაიკავა.

დარია პიშჩალნიკოვა

ამბები

სამთო-სათხილამურო სპორტი

ვონი ფინეთში არ ისრიალებს

მსოფლიოს თასის ოთხგზის მფლობელმა, ამერიკელმა **ლინდსი ვონმა** მსოფლიოს თასის მეორე ეტაპის გამოტოვება გადაწყვიტა, რომელიც უახლოეს უქმეებზე ფინეთის კურორტ ლევიში გაიმართება.

ვონის ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზი გახდა კოლორადოს საშინაო ეტაპისთვის უკეთ მომზადება. ამ სეზონში ლინდსიმ ერთხელ უკვე მოასწრო სტარტზე გასვლა – ოლიმპიური ჩემპიონი ავსტრიაში გიგანტურ სლალომში გამოდიოდა, მაგრამ მეორე ცდის შესრულებისას ფინიშამდე ვერ მიაღწია.

ჩოგბურთი

ლონდონში 2015 წლამდე

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ გადაწყვიტა, რომ ATP-ის წლის შემაჯამებელი ტურნირი ლონდონის "O2-არენაზე" 2015 წლის ბოლომდე დარჩება, მისი სპონსორი კი კვლავინდებურად კომპანია Barclays იქნება.

როგორც ATP-ის ოფიციალური ვებგვერდი იტყობინება, 2009-11 წლებში დასკვნითი ტურნირის მატჩებს 750 ათასი მაყურებელი (საშუალოდ 30 ათასი ერთ სათამაშო დღეს) დაესწრო და ფანების აქტიურობა წელსაც მაღალია.

კალათბურთი

გრეინჯერი სამი თვე დაისვენებს

"ინდიანა პეისერსის" ლიდერს, ფორვარდ **დენი გრეინჯერს** დაახლოებით სამი კვირის გამოტოვება მოუწევს მუხლის ტრავმის გამო. ამ ინფორმაციას საგენტო AP ავრცელებს. კალათბურთელმა გუშინ, ფლორიდის ერთ-ერთ კლინიკაში მუხლზე ოპერაცია გადაიტანა.

გასულ სეზონში, გრეინჯერი თავის გუნდს საშუალოდ მატჩში 18.7 ქულითა და 5 მოხსნით ეხმარებოდა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოშიაშვილი...

- ცაცხვს გირჩევ მეგობარო, ალვის ხე არ გეგონოს, ეკონომიური და ძალიან მხურვალეა, - მსგავსი ფრაზა 90-იან წლებში შეშის გამყიდველებისგან არაერთხელ მომისმენია. როგორც ჩანს, ცაცხვს სლოვენიაშიც დიდ პატივს სცემენ, სწორედ ამიტომ აირჩიეს ევრობასკეტი-2013-ის სიმბოლოდ. ცაცხვისა და ქართველების გზა გაისად არაერთხელ გადაიკვეთება - ჩვენი ნაკრები ხომ სექტემბერში ევროპის ჩემპიონატის სათამაშოდ სლოვენიაში ჩავა.

გამოკითხვაში მონაწილეობა მეც მივიღე და გამოგიტყდებით, ცაცხვზე წინ ლურჯი მგელი ლუპი დავაყენე, მაგრამ საბოლოოდ ყველაზე მეტი ხმა მაინც ცაცხვმა - სახელად ლიპკომ მიიღო (6095). მგელს 4813 ხმა ერგო. იყო კიდევ ორი კანდიდატი - გველთევზა იამკო და ფუტკარი ბიბი. ისინი საგრძნობლად ჩამორჩნენ მგელსა და ცაცხვს. იამკომ 669 ხმა მიიღო, ბიბიმ - 529.

შეგახსენებთ, რომ ევროპის 2011 წლის ჩემპიონატის სიმბოლო ქარვა „ამბერისი“ იყო, რომელსაც ევრობასკეტის მსვლელობისას მოედანზეც შეხვდებოდით, ტრიბუნებზეც და გოგონებთან მოცეკვავესაც. თილისმა-სიმბოლოები მეტად საინტერესო თემაა, რომელსაც ახლო მომავალში ერთი „ტაიმლაინი“ აუცილებლად უნდა მივუძღვნათ.

ARTMIA

- ვა, მოშიაშვილი „სვაბოდა ზეა“ (თავისუფალია)?! - ამოვიკითხე ქართულ ფორუმზე. მკითხველს ეს ფრაზა „თეთრ ბაირაღებს“ გაახსენებდა. მოშიაშვილი მართლაც იჯდა, ოღონდ „ჰაპოელ ჰოლონის“ სათადარიგოთა სკამზე. იგი ამაოდ ელოდა „არმიასთან“ მატჩში მოედანზე გასვლას. მასპინძლებმა ქართველები მოშიაშვილის გარეშეც დაამარცხეს - 84:69.

შეხვედრის ტელერეპორტაჟისას ორივე გუნდის სახელწოდება ლათინური ასოებით ეწერა: HOL-ART. პირველი „ჰოლონს“ გულისხმობს, ხოლო მეორე „არმიას“ უნდა ნიშნავდეს, თუმცა კორექტურული შეცდომის გამო მივიღეთ საინტერესო სიტყვა ART, რაც ქართულ თარგმანში ხელოვნებას ნიშნავს. თუმცა ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ ისრაელში არმიელებმა საკალათბურთო ხელოვნების ნიმუში გვიჩვენეს.

ჩვენმა გუნდმა ევროჩელენჯის მატჩი მოკრძალებულ, 2500-იან დარბაზში ჩაატარა. უფრო მოკრძალებული აღმოჩნდა მისი შესასვლელი, რომელიც იმ დროის შენობებს მოგაგონებდათ, შეშა რომ არ გვქონდა და პარკეტით ვთბებოდით. შესაძლოა, გაზეთში დაბეჭდვის შემდეგ არ გამოჩნდეს, მაგრამ ფოტოს ორიგინალში ბეტონის კედლებს ნათლად ეტყობა „აპალოვკის“ ნაკვალევი.

მოურინიო და მილანი?

კორექტურული შეცდომები საფეხბურთო სამყაროშიც მოსდით. თუმცა ამ შემთხვევაში პასუხი სტილისტს უნდა მოვთხოვოთ:

„მილანის“ მთავარი მწვრთნელი ჟოზე მოურინიო: ჩამოვრჩით ანგარიშში, დავკარგეთ გონსალო იგუაინი, სათადარიგოთა სკამზე აღარ დაგვრჩა თავდამსხმელი...“

დაკვირვებული მკითხველი უეფას ოფიციალური ვებგვერდის რუსულ ვერსიაში შეცდომას უმალ შენიშნავდა - „მილანის“ მწვრთნელი ჟოზე მოურინიოო... იტალიელებს ასეთი დონის სპეციალისტი სულაც არ აწყენდათ, დიდი ხანია ევროსარბიელზე ღირებული არაფერი მოუგიათ.

ვიზა

კურიოზული ფოტო გამოქვეყნდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვებსაიტზე. სტატიას, რომელსაც ეს სურათი ახლავს, შემდეგი სათაური აქვს: „ეროვნული გუნდის შემადგენლობაში ცვლილებებია“. ფოტოზე გამოსახული არიან ოქრიაშვილი, ყენია, ხიზანიშვილი, დაუშვილი, ლორია. საინტერესოა, რომ ლორიას გარდა, არც ერთი მათგანი ეგვიპტესთან კარსმომდგარი ამხანაგური მატჩისას არ იქნება.

კიდევ უფრო საინტერესოა, რომ მათე ვაწაძე ნაკრებში სავიზო პრობლემების გამო ვერ ჩამოვა. აქ კი კაცი ემოციებს ვერ შეიკავებს: ხომ შეიძლება, ჩვენმა სპორტსმენებმა ტურისტულის ნაცვლად საქართველოს ერთწლიანი ვიზა აიღონ და ხშირად აღარ მოუწევთ საკონსულოში სირბილი...

მაცნე

დღევანდელი „ტაიმლაინი“ რითაც დავიწყეთ, იმით დავამთავროთ - კალათბურთით. არა იმიტომ, სპორტის ამ სახეობას პროპაგანდას ვუწევთ, წაეყვანა თამარ გვერდწითელს საფეხბურთო გადაცემა და ფეხბურთით დავასრულებდით.

გამოდის, რომ ქართველ მომღერალს საკალათბურთო გადაცემა მიჰყავს? - იკითხავთ.

ასეა, თამარ გვერდწითელი რუსეთის პირველ არხზე „საკალათბურთო მაცნეს“ უძღვება.

« მე-11 გვერდიდან

ჩენდლერი, გარნეტი, უეიდი...

ზაზა ფაჩულიას NBA-ს სადებიუტო მატჩში (2003 წელს) ჩიკაგოელი **ტაისონ ჩენდლერის** მეურვეობამ მოუწია; დებიუტანტი ნიკა ცქიტიშვილი (2002) **კევინ გარნეტს** „დაეჭიდა“; 7 ნოემბერს ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში პირველივე მატჩში თორნიკე შენგელია **დუეინ უეიდს** მეთვალყურეობდა.

მოქმედმა ჩემპიონმა „მაიამმ“ ბრუკლინელებს თავიდანვე გაასწრო და „ნეთსის“ მწვრთნელმა **ეივერი ჯონსონმა** ახალგაზრდა შენგელია სწორედ ემოციურად ნაკლებად დაძაბულ მომენტში შეიყვანა მოედანზე (შეგახსენებთ რომ სეზონის ორ გახსნით მატჩში თორნიკეს არ უთამაშია). ქართველმა ფორვარდმა მეოთხე პერიოდი შეუცვლელად ჩაატარა, ჩვენც და მწვრთნელსაც დაგვანახვა, რომ მისი ნდობა მომავალ მატჩებშიც თამამად შეიძლება. თორნიკე მსუბუქ ფორვარდად ირჯებოდა და აჩრდილივით დასდევდა უეიდს, რომელმაც ბოლო პერიოდში მოედანზე გატარებულ 8 წუთში ქულა ვერ ჩააგდო.

თავად შენგელიამ კი ერთი შეცდომით დაიწყო, მაგრამ მალევე დამშვიდდა და ორი ეფექტური სოლო-რეიდიც განახორციელა. ერთ შემთხვევაში მსაჯებმა მასზე გარბენი დააფიქსირეს, მეორეჯერ კი მაიამელებმა წესების დარღვევით შეაჩერეს და თორნიკემაც ორივე ჯარიმა ზუსტად შეასრულა.

12 წუთში 2 ქულა შესაძლოა, ვინმეს ეცოტავოს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შენგელია ახალგაზრდაა და ყველაზე ნაკლები პასი სწორედ მას მიუვიდა, თან შეხვედრის ბედი გადაწყვეტილი იყო და ყველა თავის გამოჩენაზე ფიქრობდა.

მაიამი-ბრუკლინი 103:73

თორნიკე შენგელია: 12 წუთი, 2 ქულა (2-დან 2 საჯარიმო), 1 მოხსნა, 2 შეცდომა.

IV პერიოდი		
8:26	შეცდომა: 1 (არაზუსტი პასი)	62-83
6:03	შეცდომა: 2 (გარბენი)	68-92
2:29	საჯარიმოები: 2/2	73-98
1:54	მოხსნა: შეტ-0, დაც-1	73-98

ვაჟა სიმონიშვილი

ISSN 2233-3827

9 772233 382000

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდაკვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* ***ირაკლი თავაძე***

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:10

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**